



შენაბამისობის აუდიტის ანგარიში



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

“ვაგბეჰიშვილი”

ადგილობრივი თვითმმართველი
ერთეულების ბიუჯეტების აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი

გიორგი მაგრიკიშვილი

“ 09 ” “ 01 ” 2019 წელი

N 4/36

ეგზ: N:1

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის
2016-2017 წლების ბიუჯეტებით
გათვალისწინებული პროგრამების
შესაბამისობის აუდიტის ანგარიში

სარჩევი

გამოყენებული ტერმინები და შემოკლებანი	3
შემაჯამებელი მიმოხილვა და რეკომენდაციები	4
შესავალი	9
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	9
აუდიტორის პასუხისმგებლობა	9
აუდიტის საგანი	10
აუდიტის მასშტაბი	10
აუდიტის კრიტერიუმები	10
აუდიტის მიზანი	11
აუდიტის მეთოდოლოგია	11
ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	11
აუდიტის მიგნებები	14
ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	14
დაზიანებული ინფრასტრუქტურული პროექტები	14
ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლებიც არ ფუნქციონირებდა	27
დაზიანებული ნაპირსამაგრი სამუშაოები	29
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ გაცემული გაუხარჯავი მასალები	33
მიმწოდებელზე დაურიცხავი ჯარიმა	35
გამარტივებული წესით შესყიდული სამშენებლო სამუშაოები	37
შესყიდვების მართვა	38
შემოსავლები	41
წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	42
საკრებულოს წევრებზე დასაბუთების გარეშე გაწეული ხარჯები	42
შტატგარეშე მოსამსახურეების დაქირავებისას გამოვლენილი ნაკლოვანებები	44
სატრანსპორტო საშუალებებზე ხარჯის გაწევისას გამოვლენილი ხარვეზები	47
საკონსულტაციო და აუდიტის მომსახურებაზე გაწეული ხარჯი	48
საზოგადოებრივ ცენტრებში დასაქმებული თანამშრომლები	50
ა(ა)ივ-ების სუბსიდიით დაფინანსება	51
ინვენტარიზაცია	53
შიდა აუდიტი	54
წინა აუდიტის დროს გამოვლენილი დარღვევები	56
დაბა ჩოხატაურის კულტურის სახლის მშენებლობა	57
წითელი ჯვრის დაფინანსება	59
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი	60

გამოყენებული ტერმინები და შემოკლებანი

- მუნიციპალიტეტი - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი;
- გამგეობა - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა;
- მერია - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია;
- საკრებულო - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო;
- ა(ა)იპ - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი;
- შპს - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება;
- ი/მ - ინდივიდუალური მეწარმე.

შემაჯამებელი მიმოხილვა და რეკომენდაციები

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი. შედეგად გამოვლინდა შემდეგი დარღვევა-ნაკლოვანებები:

- აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების გარკვეული ნაწილი დაზიანებულია. მუნიციპალიტეტს ხარვეზების გამოსწორების მიზნით არ გაუტარებია შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებები. შედეგად მოსახლეობამ ვერ მიიღო პროექტით გათვალისწინებული შედეგი გრძელვადიან პერიოდში.
- მუნიციპალიტეტის მიერ შესყიდული ინფრასტრუქტურული პროექტების შესწავლით გამოვლინდა, რომ პროექტების ნაწილი ფუნქციურად დატვირთული არ არის, ხოლო ნაწილით სრულად ვერ სარგებლობს მოსახლეობა. მუნიციპალიტეტმა არ გაითვალისწინა ის გარემოებები, რომელთაც შესაძლოა ხელი შეეშალა პროექტების წარმატებით განხორციელებაში. მიუხედავად იმისა, რომ ინფრასტრუქტურული პროექტების მშენებლობისთვის გადახდილია მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსი, ობიექტები უფუნქციოა.
- მუნიციპალიტეტის მიერ სტიქიის სალიკვიდაციოდ შეძენილი და მოსახლეობაზე გადაცემული მასალების ნაწილი გაუხარჯავი და დასაწყობებულია. მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო შესყიდული მასალების ხარჯვისა და გამოყენების კონტროლი. შედეგად, არ არის მიღწეული დაგეგმილი მიზნები.
- მუნიციპალიტეტმა რიგი სამშენებლო სამუშაოები შეისყიდა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. ობიექტები ჩაბარებულია და ანგარიშსწორება განხორციელებულია ფაქტობრივი დანახარჯების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე, რაც ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას და არსებული პრაქტიკით იწვევს საბიუჯეტო სახსრების ზედმეტად ანაზღაურებას.
- მუნიციპალიტეტმა შტატგარეშე მოსამსახურეები დაიქირავა მუდმივ ამოცანათა შესასრულებლად, რაც არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. დაქირავებულების რაოდენობა 2016-2017 წლებში აღემატება ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით დადგენილ ზღვრულ ნორმას.
- სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა აღემატება მთავრობის დადგენილებით რეკომენდებულ ზღვრულ ოდენობას. შედეგად, მუნიციპალიტეტმა ტრანსპორტის

შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯის გაწევისას არ დაიცვა საბიუჯეტო სახსრების რაციონალური და გონივრული ხარჯვის პრინციპები.

- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტმა ვერ დაასაბუთა რა აუცილებელი საჭიროებით იყო განპირობებული საკონსულტაციო და გარე აუდიტის მომსახურების შესყიდვა, ვინაიდან, მუნიციპალიტეტს გააჩნია შრომითი რესურსი და ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს აღნიშნული საქმიანობის განხორციელება. ამდენად, გამგეობის მიერ აღნიშნულ მომსახურებებზე გაწეულია არაგონივრული ხარჯი.
- მუნიციპალიტეტის საკრებულოს არათანამდებობის პირებზე უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები ანაზღაურებულია მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით, შესაბამისი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე.

გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებების საპასუხოდ, აუდიტის სამსახურმა გასცა შემდეგი რეკომენდაციები:

რეკომენდაცია №1: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიამ დანერგოს დამატებითი კონტროლის მექანიზმები და დააწესოს ისეთი პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს შესრულებული სამუშაოების შესაბამისობას სამშენებლო ნორმებთან და სტანდარტებთან. აღნიშნული ხელს შეუწყობს შესყიდული ობიექტების გამართულ ფუნქციონირებას და მოსახლეობისთვის ინფრასტრუქტურული პროექტების ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ხარვეზების გარეშე მიწოდებას. მუნიციპალიტეტმა შეისწავლოს პროექტების დაზიანების გამომწვევი მიზეზები, გამოავლინოს პასუხისმგებელი პირები და გაატაროს მათ მიმართ შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებები.

რეკომენდაცია №2: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიამ ინფრასტრუქტურული ღონისძიებები უნდა დაგეგმოს ყველა იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს პროექტის წარმატებით დასრულებას. კონკრეტული სამუშაოს დაგეგმვის დროს მუნიციპალიტეტმა უნდა შეისწავლოს მის ხელთ არსებული ფინანსური და მატერიალური რესურსები და აქედან გამომდინარე, განსაზღვროს, რამდენად შესაძლებელია პროექტის განხორციელება და დასახული მიზნის მიღწევა. მუნიციპალიტეტმა აღწეროს დაუსრულებელი ან/და უფუნქციო შენობები, შეისწავლოს მათი შემდგომი ექსპლუატაციის საკითხი და საჭიროების მიხედვით განსაზღვროს შენობა-ნაგებობების გამოყენების მიმართულებები.

რეკომენდაცია №3: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშაოს სტრატეგია და პროცესი წარმართოს იმგვარად, რომ შესაძლებელი გახდეს სტიქიის შედეგების

ოპერატიული აღმოფხვრა. აგრეთვე შეიმუშაოს და დანერგოს ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც საშუალებას მისცემს დროულად გამოასწოროს სტიქიის შედეგად წარმოქმნილი პრობლემები და უზრუნველყოფს დასახული მიზნის მიღწევას. გაატაროს ღონისძიებები მოსახლეობაში დასაწყობებული სამშენებლო მასალების დანიშნულებისამებრ გამოყენების მიზნით.

რეკომენდაცია №4: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიამ შესასყიდი სამუშაოების მიწოდებისა და სხვა პირობების დარღვევისათვის, მიმწოდებელზე სრულად გაავრცელოს ხელშეკრულებით განსაზღვრული საჯარიმო სანქციები და უზრუნველყოს მისაღები საჯარიმო სანქციების სრულად მობილიზება ადგილობრივ ბიუჯეტში.

რეკომენდაცია №5: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიამ სამშენებლო სამუშაოების მიწოდებაზე გაფორმებული გამარტივებული შესყიდვის ხელშეკრულებების ფარგლებში, ანგარიშსწორება არ განახორციელოს მიმწოდებლების მიერ ფაქტობრივი დანახარჯების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე. ამ მიზნით, მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიზანშეწონილია შეიმუშაოს გამარტივებული შესყიდვის გზით განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების ფაქტობრივი დანახარჯების დათვლის მეთოდი და კონკრეტული წესი, რომელიც შესაბამისობაში იქნება მოქმედ კანონმდებლობასთან. გასული პერიოდის ხელშეკრულებებისათვის საჭიროა მუნიციპალიტეტმა მიმწოდებლებისაგან მოითხოვოს შესაბამისი დოკუმენტაცია და გაიანგარიშოს ფაქტობრივი ხარჯები. შეუსაბამოების არსებობის ან დოკუმენტების წარმოდგენლობის შემთხვევაში, გაატაროს სათანადო სამართლებრივი ღონისძიებები, მათ შორის, მუნიციპალიტეტის შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიმართ, რომლებსაც ევალებოდათ ანგარიშსწორების აღნიშნული პრინციპის დაცვა.

რეკომენდაცია №6: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიამ შესყიდვის პროცესი წარმართოს შეუფერხებლად და კანონმდებლობის შესაბამისად. მუნიციპალიტეტმა თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით უზრუნველყოს შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება. კანონმდებლობით გათვალისწინებულ ასიგნებათა ფარგლებში ფინანსური რესურსი მიმართოს მოხელეთა გადამზადებასა და პროფესიულ განვითარებაზე. აღნიშნული ხელს შეუწყობს შესყიდვის პროცესის გამართვას და შესყიდვით მისაღები სარგებელის ადგილობრივ მოსახლეობისთვის დროულად მიწოდებას.

რეკომენდაცია №7: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიამ საკრებულოს დადგენილების შესაბამისად, უზრუნველყოს დასუფთავების გადამხდელთა ბაზის შექმნა და წლის განმავლობაში მისაღები მოსაკრებლის გაანგარიშება. ასევე დანერგოს კონტროლის ისეთი

მექანიზმები, რომლებიც მაქსიმალურად უზრუნველყოფს დასუფთავების მოსაკრებლის სახით მისაღები შემოსავლების მობილიზებას.

რეკომენდაცია №8: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიამ არ მოახდინოს საკრებულოს არათანამდებობის პირებზე უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება შესაბამისი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე. მნიშვნელოვანია, რომ საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესი და პრაქტიკა, სრულ შესაბამისობაში იყოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან. აღნიშნული უზრუნველყოფს საკრებულოს წევრის არაანაზღაურებადი საქმიანობის შესახებ, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ დადგენილი პრინციპის დაცვას, ასევე საბიუჯეტო სახსრების დასაბუთებულ ხარჯვას.

რეკომენდაცია №9: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ და მერიამ არ დაუშვას შრომითი ხელშეკრულებით თანამშრომელთა დაქირავება კანონმდებლობით დადგენილი ზღვრის დარღვევით. მუნიციპალიტეტმა შრომითი ხელშეკრულებები გააფორმოს საჯარო სამსახურის განხორციელების უზრუნველსაყოფად, მხოლოდ დამხმარე ან არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად. აღნიშნული ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში დასაქმებულთა რაოდენობის ოპტიმიზაციას და საბიუჯეტო თანხების რაციონალურ ხარჯვას.

რეკომენდაცია №10: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითმა ორგანომ აღმასრულებელ ორგანოსთან შეთანხმებით, შეიმუშაოს წესი სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ავტოპარკის გადანაწილების, საწვავის ხარჯვის, სატრანსპორტო საშუალებების კლასიფიკაციისა და შესყიდვის შესახებ. აღნიშნული დოკუმენტი, რომელიც დაფუძნებული იქნება საუკეთესო პრაქტიკაზე, ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის სატრანსპორტო პარკის ოპტიმიზაციას და მოვლა-შენახვის ხარჯების რაციონალიზაციას. ამასთანავე, შემუშავებული წესი მიზანშეწონილია თავსებადი იყოს საქართველოს მთავრობის დადგენილებასთან.

რეკომენდაცია №11: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიამ არ განახორციელოს ფინანსურ მენეჯმენტთან დაკავშირებულ საკონსულტაციო მომსახურებაზე ხარჯის გაწევა. საკადრო პოლიტიკა დაგეგმოს და განახორციელოს ისე, რომ დასაქმებულმა საჯარო მოხელეებმა სრულად შეასრულონ მათზე დაკისრებული მოვალეობები. მუნიციპალიტეტმა თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით უზრუნველყოს შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება. კანონმდებლობით გათვალისწინებულ

ასიგნებათა ფარგლებში ფინანსური რესურსი მიმართოს მოხელეთა გადამზადებასა და პროფესიულ განვითარებაზე.

რეკომენდაცია №12: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიამ სუბსიდიური დაფინანსებისას, გაითვალისწინოს მათ მიერ შესასრულებელი სამუშაოები და კონკრეტული ღონისძიებები. მოახდინოს ა(ა)იპ-ების მიერ განხორციელებული საქმიანობის შეფასება და სუბსიდიის ხარჯვის შესრულების კონტროლი. აღნიშნული ხელს შეუწყობს საბიუჯეტო სახსრების დასაბუთებულ ხარჯვას.

რეკომენდაცია №13: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურმა უზრუნველყოს თვითმმართველი ერთეულის საქმიანობის გაუმჯობესება არსებული რისკების შეფასებითა და მოქმედ კანონმდებლობასა და მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის დადგენის გზით. გააძლიეროს მონიტორინგი მერიის სამსახურებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საქმიანობაზე, აგრეთვე მათზე გაცემული რეკომენდაციების შესრულებაზე. აღნიშნული უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის ზრდას.

რეკომენდაცია №14: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშაოს შესაბამისი ღონისძიებები მუნიციპალიტეტის წინა აუდიტის ანგარიშში ასახული დარღვევა-ნაკლოვანებების გამოსწორების მიზნით – გადამოწმდეს წინა წლების ანგარიშგებაში ასახული ოპერაციები, რომლებიც გავლენას ახდენს მიმდინარე ნაშთებზე. ასევე ჩაატაროს სრულყოფილი ინვენტარიზაცია, რაც ხელს შეუწყობს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისათვის ზუსტი და სრული ინფორმაციის წარდგენას.

შესავალი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარად წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშეუსაბამობებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI 4000) შესაბამისად.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს. სტანდარტი ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული საქმიანობა არ შეიცავს მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტორული პროცედურები წარიმართა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობებზე დაყრდნობით გონივრული რწმუნების მისაღებად, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშეუსაბამობების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული დასკვნების გამოსატანად.

აუდიტის საგანი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების ხარჯვის კანონმდებლობასთან შესაბამისობა.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბად განისაზღვრა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ 2016-2017 წლებში ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების ფარგლებში მუნიციპალიტეტის საქმიანობისა და ფინანსური რესურსების ხარჯვის მოქმედ კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობა. პროგრამების ფარგლებში გაწეული ხარჯების შესაბამისობის აუდიტმა მოიცვა მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტების გადასახდელები, ჯამში - 23,795.0 ათასი ლარი.

აუდიტის კრიტერიუმები¹

აუდიტის ძირითად კრიტერიუმებად განისაზღვრა შემდეგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები:

- ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი;
- საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 ივლისის №449 დადგენილება „საჯარო დაწესებულებებში პრემიის ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილება „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის - „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის“ დამტკიცების შესახებ“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანება „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანება „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“;

¹ საანგარიშო პერიოდში მოქმედი რედაქციების მიხედვით.

- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს №672 ბრძანება „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ და სხვ.

აუდიტის მიზანი

აუდიტის მიზნებია:

- ა) ჩამოყალიბდეს დასკვნა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით იმის შესახებ, რამდენად შესაბამისობაშია აუდიტის საგანი სათანადო კრიტერიუმთან, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;
- ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნებისა და სადაც შესაფერისია, რეკომენდაციების შესახებ.

აუდიტის მეთოდოლოგია

აუდიტის საგნის შესასწავლად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:

- აუდიტის ობიექტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის ანალიზი;
- სამართლებრივი რეაგირების ღონისძიებების მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების შესწავლა;
- ინტერვიუები აუდიტის ობიექტების თანამშრომლებთან;
- მონაცემთა ანალიზი;
- გაცემულ სოციალურ დახმარებებზე ალტერნატიული პროცედურების ჩატარება (სხვადასხვა უწყებებიდან მონაცემთა ბაზების გამოთხოვა/დამუშავება).

ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი არის დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელსაც ჰყავს აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოები, აქვს საკუთარი ქონება და ბიუჯეტი. მუნიციპალიტეტი აერთიანებს 23 ადმინისტრაციულ ერთეულს და მოიცავს 1 დაბას და 61 სოფელს². თვითმმართველი ერთეულის ფართობია

² mreg.reestri.gov.ge

825 კვ.კმ. მოსახლეობის რიცხოვნობა შეადგენს 18.5 ათას კაცს³. ადმინისტრაციული ცენტრია დაბა ჩოხატაური. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულია საწარმო სააქციო საზოგადოება "წყალი მარგებელი" (მინერალური წყლის „ნაბელავის“ ჩამოსასხმელი ქარხანა). კომპანიისთვის დაწესებული მოსაკრებელი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლის ერთ-ერთ წყაროს.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშებზე დაყრდნობით, 2016-2017 წლებში შემოსულობებმა 25,808.4 ათასი ლარი, ხოლო გადასახდელებმა 23,795.0 ათასი ლარი შეადგინა. ინფორმაცია შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების შესახებ წარმოდგენილია ცხრილში.

ცხრილი №1. ინფორმაცია შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების შესახებ (ათასი ლარი)

დასახელება	2016 წელი			2017 წელი		
	გეგმა	ფაქტი	შესრულება %	გეგმა	ფაქტი	შესრულება %
შემოსულობები	13,228.6	13,205.4	99.8	10,013.3	12,603.0	125.9
შემოსავლები	12,927.6	12,834.7	99.3	9,923.3	12,552.3	126.5
არაფინანსური აქტივების კლება	301.0	370.7	123.2	90.0	50.7	56.3
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოყენების გარდა)	0	0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების ზრდა	0	0	0.0	0.0	0.0	0.0
გადასახდელები	13,956.2	13,088.3	93.8	10,875.4	10,706.7	98.4
ხარჯები	10,491.0	7,921.7	75.5	7,844.2	7,217.2	92.0
არაფინანსური აქტივების ზრდა	3,458.2	5,159.6	149.2	2,950.1	3,408.4	115.5
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის დაგროვების გარდა)	0	0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების კლება	7.0	7.0	100	81.1	81.1	100
ნაშთის ცვლილება	-727.6	117.1		-862.1	1,896.3	

როგორც ცხრილიდან ჩანს, 2016 წლის ბიუჯეტში ძირითადი სხვაობები გეგმასა და შესრულებას შორის ფიქსირდება „გადასახდელების“ მუხლში. კერძოდ, „არაფინანსური აქტივების ზრდისა“ და „ხარჯების“ მუხლებში. სხვაობები მეტწილად განპირობა იმ

³ www.geostat.ge -აღებულია მოსახლეობის 2017 წლის საშუალო რიცხოვნობა.

გარემოებამ, რომ სოფლის მხარდაჭერის პროგრამისა და სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების ფარგლებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხების ხარჯვას მუნიციპალიტეტი, ნაცვლად „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლისა, არასწორად გეგმავდა „ხარჯების“ მუხლში, ხოლო საკასო შესრულებას სწორად ასახავდა „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლში.

რაც შეეხება 2017 წელს, ძირითადი სხვაობები გეგმასა და შესრულებას შორის დაფიქსირდა „შემოსულობების“ მუხლში. დაგეგმილთან შედარებით გადაჭარბებითაა შესრულებული „შემოსავლების“ მუხლი, რაც ძირითადად გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ მუნიციპალიტეტს სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ 2,500.0 ათასი ლარი ჩაერიცხა 2017 წლის 27 დეკემბერს. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს არ უმსჯელია მიღებული შემოსავლის ბიუჯეტში ასახვის თაობაზე. შესაბამისად, 2017 წლის ბიუჯეტის „შემოსულობების“ გეგმის დაზუსტება აღნიშნული თანხით მუნიციპალიტეტს არ განუხორციელებია.

აუდიტის მიგნებები

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია

დაზიანებული ინფრასტრუქტურული პროექტები

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის მიერ შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტები უნდა იყოს ხარისხიანი, მისგან მიღებული შედეგი დადებითად უნდა აისახებოდეს მოსახლეობაზე და გონივრულ პერიოდში შესაძლებელი უნდა იყოს ამ შედეგით სარგებლობა. მუნიციპალიტეტი ვალდებულია მშენებლობის პროცესი დაგეგმოს და განახორციელოს ისე, რომ შესყიდული სამუშაოები პასუხობდეს სამშენებლო ნორმებითა და სტანდარტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და სრულად უზრუნველყოს დასახელებული პრობლემების გადაწყვეტა. აღნიშნულზე რწმუნების მიღება მუნიციპალიტეტს შეუძლია სამუშაოების ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირებით, ასევე შესაბამისი ექსპერტიზის ჩატარებით.

მუნიციპალიტეტის მიერ მიმწოდებლებთან გაფორმებული შესყიდვის ხელშეკრულების თანახმად, შემსრულებელი იძლევა გარანტიას, რომ შემსყიდველის მიერ საგარანტიო პერიოდში გამოვლენილი დეფექტი და ნაკლი აღმოფხვრას საკუთარი სახსრებით. შესაბამისად შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია ობიექტის დაზიანების შემთხვევაში, საგარანტიო ვადის პერიოდში მოსთხოვოს მიმწოდებელს, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს დაზიანებების აღმოფხვრა. იმ შემთხვევაში, თუ საგარანტიო ვადის გასვლის შემდეგ გამოვლინდა ხარვეზები, მუნიციპალიტეტი ახდენს პრობლემის შესწავლას და რეაგირებას.

გამოვლენილი გარემოება: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ 2016-2017 წლებში 9 ხელშეკრულების ფარგლებში შესრულდა სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტები, ღირებულებით 727.8 ათასი ლარი. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე კონტროლს და შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარებას ახორციელებს მუნიციპალიტეტში შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი, ასევე ხელშეკრულებით განსაზღვრულია სამუშაოების მიღება-ჩაბარება საექსპერტო დასკვნის ან/და გამოყენებული მასალების ხარისხის დამადასტურებელი შესაბამისი სერტიფიკატების წარმოდგენის საფუძველზე.

წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლით გამოვლინდა, რომ მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულება ითვალისწინებს საექსპერტო დასკვნის წარმოდგენას, თუმცა დაკონკრეტებული არ არის როგორი ტიპის დასკვნა უნდა წარმოადგინოს მიმწოდებელმა. შესაბამისად, ექსპერტიზებით დადასტურებულია მხოლოდ

შესრულებული სამუშაოების მოცულობა და ღირებულება, ხოლო ხარისხი შეფასებულია მხოლოდ ვიზუალურად. ასევე, მიუხედავად ამისა, რომ ზოგიერთი ხელშეკრულებების მიხედვით, შემსყიდველს ჰქონდა უფლება გამოყენებულ მასალებზე მოეთხოვა სერტიფიკატები, მუნიციპალიტეტს არ მოეთხოვია, ხოლო მიმწოდებელს 4 შემთხვევაში⁴ არ წარმოუდგენია ხარისხის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტები.

აღსანიშნავია, რომ პროექტების ჩაბარებისას, შემსყიდველი ორგანიზაციის მთავარი მიზანი არის მიიღოს სათანადო რწმუნება, რომ შესრულებული სამუშაოების ხარისხი შეესაბამება სამშენებლო ნორმებსა და სტანდარტებს. აღნიშნული რწმუნების მიღების ყველაზე საიმედო გზა არის ექსპერტიზით და შესაბამისი კვლევებით დადასტურდეს შესრულებული სამუშაოების ხარისხი. მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტმა საჭიროდ არ მიიჩნია მოეთხოვა ექსპერტიზისათვის ხარისხის შემოწმება.

წარმოდგენილი დოკუმენტებით, ასევე, ირკვევა, რომ შესრულებული სამუშაოები დაადასტურა მუნიციპალიტეტის ინსპექტირების ჯგუფმა. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტის ინსპექტირების ჯგუფს სამუშაოების ხარისხის შესამოწმებლად არ აქვს სათანადო კვალიფიკაცია და მატერიალური რესურსი. შესაბამისად, არ აფასებს შესრულებული სამუშაოების ხარისხს და ადასტურებს მხოლოდ მოცულობებს.

აქედან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული კონტროლის პროცედურებით პროექტებზე შესრულებული სამუშაოების ხარისხი დადასტურებული არ იყო. შესაბამისად, მუნიციპალიტეტს არ ჰქონდა რწმუნება, სამუშაოების ხარისხის შესაბამისობაზე მოქმედ სტანდარტებთან და ნორმებთან. მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტმა ჩაიბარა პროექტები და მიმწოდებელს სრულად აუნაზღაურა შესრულებული სამუშაოების ღირებულება.

გარდა ამისა, მუნიციპალიტეტი არ ახდენს განხორციელებული პროექტების მონიტორინგს, შესაბამისად, არ ფლობს ინფორმაციას დაზიანებული ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ. აღნიშნული სისტემა ვერ უზრუნველყოფს ხარვეზების დროულად გამოვლენას და შემდგომ რეაგირებას. ობიექტების დათვალიერებით ასევე, გამოვლინდა, რომ დაზიანებული ინფრასტრუქტურული პროექტებიდან⁴, ღირებულებით 288.4 ათასი ლარი, ფუნქციურად დატვირთული არ იყო:

⁴ 2015 წლის ხელშეკრულება N326, 2016 წლის ხელშეკრულებები N165, N164, 2017 წლის ხელშეკრულება N141.

გორაბერეჯოლის დამწვარი ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია

2015 წელს ხანძრის შედეგად დაიწვა სოფელ გორაბერეჯოლის ადმინისტრაციული შენობა. შენობის რეაბილიტაცია მუნიციპალიტეტმა დაგეგმა და განახორციელა ორ ეტაპად. შენობის რეაბილიტაციის პირველი ეტაპი ჩატარდა 2016 წელს, თანხით 40.0 ათასი ლარი⁵. შენობის მოწყობის მეორე ეტაპის სამუშაოები განხორციელდა 2017 წელს ი/მ „ზაზა ჯიბუტაძე“⁶ გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, ღირებულებით 41.2 ათასი ლარი. მიმწოდებლის მიერ შესრულებული პროექტი, მუნიციპალიტეტმა ჩაიბარა 2017 წლის 27 ნოემბერს, რითიც დაადასტურა შესრულებული სამუშაოების შესაბამისობა ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

2018 წლის 13 ივნისს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტის ჯგუფმა და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა დაათვალიერეს შესრულებული სარეაბილიტაციო სამუშაოები. დათვალიერებისას გამოვლინდა, რომ სამუშაოები შესრულებულია უხარისხოდ, კერძოდ, შენობის შიდა კედლები დაზიანებულია და შეიმჩნევა მრავლობითი ბზარები. ეზოში დატოვებულია სამშენებლო ნარჩენები. ობიექტი დაუსუფთავებელი იყო და არ ფუნქციონირებდა.

სურათი №1 გორაბერეჯოლის ადმინისტრაციული შენობა



ადმინისტრაციული შენობის დაწვის შემდეგ, 2015 წლის ნოემბრიდან, გამგებლის (მერის) წარმომადგენელი განთავსებული იყო ფიზიკური პირისგან დაქირავებულ სახლში. ქირის თანხა ყოველთვიურად შეადგენდა 190 ლარს. მიუხედავად იმისა, რომ შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა 2017 წლის ნოემბერში, მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი არ იყო გადასული აღნიშნულ შენობაში და ისევ ნაქირავები ბინით სარგებლობდა. სამუშაოების ჩაბარების დღიდან მუნიციპალიტეტმა ქირის სახით გასწია

⁵ შპს „ჯორჯიან ბილდინგ კომპანი“-ს მიერ, ხელშეკრულება N82, SPA160005618.

⁶ NAT170006822; ხელშეკრულება N141.

1.7 ათასი ლარის ხარჯი. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, ადმინისტრაციულ შენობაში წარმომადგენლის გადასვლა ვერ ხერხდებოდა შესაბამისი ინვენტარის უქონლობის გამო. აუდიტის ჯგუფის მიერ საკითხით დაინტერესების შემდგომ, 2018 წლის 1 სექტემბრიდან წარმომადგენელი გადავიდა ადმინისტრაციულ შენობაში. გარდა ამისა, პასუხისმგებელი პირის განმარტებით, შენობაში იგეგმება სოფლის ამბულატორიის განთავსება, რომელიც ამჟამად ფუნქციონირებს სხვა შენობაში.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტმა ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია და ინვენტარის შეძენა ვერ დაგეგმა ისე, რომ შესაძლებელი ყოფილიყო წარმომადგენლის შენობაში დროულად გადასვლა. შედეგად, მუნიციპალიტეტმა ქირის სახით⁷, დამატებით გასწია 1.7 ათასი ლარის ხარჯი.

აღსანიშნავია, რომ მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულება ითვალისწინებდა სამწლიან საგარანტიო მექანიზმს, რომლის დროსაც მიმწოდებელი ვალდებული იყო საკუთარი ხარჯებით აღმოეფხვრა უხარისხობით გამოწვეული ხარვეზები. აუდიტის ჯგუფის მიერ საკითხით დაინტერესების შემდეგ, მუნიციპალიტეტმა მიმართა მიმწოდებელს ხარვეზების აღმოფხვრისათვის, თუმცა აუდიტის მიმდინარეობისას, ხარვეზები გამოსწორებული არ არის.

სარიტუალო დარბაზის სარემონტო სამუშაოები

2016 წელს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, მუნიციპალიტეტმა გამოაცხადა ტენდერი ქვემო ერკეთის სარიტუალო დარბაზის სარემონტო სამუშაოების შესყიდვაზე. სამუშაოები შეასრულა შპს „არტმაქსმა“. ხელშეკრულების ფარგლებში მოეწყო მეტალო-პლასტმასის ფანჯრები და შენობის შესასვლელში ლითონის კარი, ღირებულებით 9.6 ათასი ლარი⁸. სამუშაოები მუნიციპალიტეტმა ჩაიბარა 2016 წლის 8 ნოემბერს.

2018 წლის 13 ივნისს აუდიტის ჯგუფმა, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად, დაათვალიერეს შესრულებული სამუშაოები. გამოვლინდა, რომ ხელშეკრულების ფარგლებში დამონტაჟებული ლითონის კარი დაზიანებულია, დაჟანგულია და არ იკეტება. მთლიანად ობიექტი საჭიროებს სრულ რეაბილიტაციას, რის გამოც შენობა არ ფუნქციონირებს.

⁷ შენობის რეაბილიტაციის სამუშაოები დამთავრდა 2017 წლის ნოემბერს, შენობაში გადავიდა მ/წლის აგვისტოს ბოლოს, 9 თვის ქირა შეადგენს 1.7 ათას ლარს.

⁸ ხელშეკრულება N 165 - NAT160000130.

სურათი № 2 ქვემო ერკეთის სარიტუალო დარბაზი



პასუხისმგებელი პირის განმარტებით, 2016 წელს გამოყოფილი თანხა საკმარისი არ იყო ქვემო ერკეთის სარიტუალო შენობის სრულად რეაბილიტაციისათვის. 2017 წელს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ პროექტების დაფინანსება შეწყდა, ხოლო მუნიციპალიტეტს ადგილობრივი ბიუჯეტით სამუშაოების გაგრძელება არ დაუგეგმავს. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, შენობის რეაბილიტაცია იგეგმება 2019 წელს. შედეგად, სარიტუალო დარბაზი დაუსრულებელია და არ ფუნქციონირებს.

სარიტუალო დარბაზის ერთ ოთახში 10 კვ.მ-ზე განთავსებულია სავაჭრო ობიექტი (მაღაზია). პასუხისმგებელი პირის განმარტებით, სარიტუალო დარბაზში ფართი თვითნებურად აქვს დაკავებული ადგილობრივ მოსახლეს. ამდენად, მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო მის მფლობელობაში არსებული ქონების განკარგვა კანონმდებლობის შესაბამისად, რის გამოც მუნიციპალიტეტი ვერ იღებს შესაბამის შემოსავალს.

აღსანიშნავია, რომ მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულება ითვალისწინებდა ორწლიან საგარანტიო მექანიზმს. მიუხედავად იმისა, რომ შესრულებული სამუშაოები დაზიანებულია საგარანტიო პერიოდში, მუნიციპალიტეტმა არ მიმართა მიმწოდებელს ხარვეზების გამოსწორების მოთხოვნით. აუდიტის ჯგუფის მიერ შენობის დათვალიერების შემდგომ, მუნიციპალიტეტმა 2018 წლის 10 ივლისს⁹ მიმართა მიმწოდებელს, ობიექტზე გამოვლენილი დაზიანებების აღმოფხვრის მოთხოვნით. აუდიტის მიმდინარეობისას ხარვეზები გამოსწორებული არ იყო.

სოფელ ზომლეთში ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია


2017 წელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტმა ტენდერის საშუალებით შეისყიდა სოფელ ზომლეთში ძველი ადმინისტრაციული შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები საბავშვო

⁹ 10 ივლისის N2018 წერილი.

ბადის, ბიბლიოთეკისა და ახალგაზრდული ცენტრის განთავსების მიზნით. სამუშაოები შეასრულა შპს „გუდა-1979-მა“, ღირებულებით 88.4 ათასი ლარი¹⁰. მუნიციპალიტეტმა სამუშაოები ჩაიბარა 2017 წლის 21 სექტემბერს.

2018 წლის 15 ივნისს აუდიტის ჯგუფმა, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად, დაათვალიერეს შესრულებული სამუშაოები. დათვალიერებისას გამოვლინდა, რომ ზოგ ადგილას იატაკი (ლამინატი) დეფორმირებული იყო, ხოლო კედლები დაზიანებული, ობიექტი კი სრულად არ ფუნქციონირებდა.

სურათი № 3 ზომლეთის ადმინისტრაციული შენობა



აღსანიშნავია, რომ მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულება ითვალისწინებდა ორწლიან საგარანტიო მექანიზმს, რომლის დროსაც მიმწოდებელი ვალდებული იყო საკუთარი ხარჯებით აღმოეფხვრა უხარისხობით გამოწვეული ხარვეზები. მიუხედავად იმისა, რომ შესრულებული სამუშაოები დაზიანებულია საგარანტიო პერიოდში, მუნიციპალიტეტმა არ მიმართა მიმწოდებელს ხარვეზების გამოსწორების მოთხოვნით. აუდიტის ჯგუფის მიერ ადმინისტრაციული შენობის დათვალიერების შემდგომ, მუნიციპალიტეტმა 2018 წლის 27 ივნისს¹¹ მიმართა მიმწოდებელს, ობიექტზე გამოვლენილი დაზიანებების აღმოფხვრის მოთხოვნით. მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით მიმწოდებელმა ხარვეზები გამოსწორა.

მუნიციპალიტეტი ვალდებულია შესასრულებელი პროექტები ისე დაგეგმოს და განახორციელოს, რომ მოსახლეობამ დროულად და სრულად ისარგებლოს მუნიციპალიტეტის მიერ შექმნილი პროდუქტით. სოფელ ზომლეთში ადმინისტრაციული შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე დაიხარჯა 88.4 ათასი ლარი. მიუხედავად იმისა, რომ პროექტის ჩაბარებიდან გასულია ერთი წელი, მუნიციპალიტეტს არ

¹⁰ 2017 წლის ხელშეკრულება N 74 - NAT170003048.

¹¹ 27 ივნისის N3090 წერილი.

განუხორციელება შესაბამისი ღონისძიებები შენობის ფუნქციურად დატვირთვისათვის. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, 2018 წელს გამოცხადდა ტენდერი საბავშვო ბაღის ინვენტარის შესყიდვაზე, აუდიტის მიმდინარეობის პერიოდისათვის ინვენტარი შეძენილია, თუმცა ბაღი არ ფუნქციონირებს. ამ საკითხის დროული მოგვარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებით, რომ სოფელში სხვა საბავშვო ბაღი არ ფუნქციონირებს. მიუხედავად საკითხის აქტუალობისა ბაღი გახსნილი არ არის და მოსახლეობას არა აქვს შესაძლებლობა ისარგებლოს აღნიშნული პროექტით.

სოფელ ბუკისციხეში საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია

2017 წელს მუნიციპალიტეტმა ტენდერის საშუალებით შეისყიდა სოფელ ბუკისციხეში საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები¹². სამუშაოები შეასრულა შპს „ტრანსმშენმა“, ღირებულებით 149.2 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტმა პროექტი ჩაიბარა 2018 წლის 12 მარტს.

ობიექტის სახურავიდან ჩამოვიდა წყალი, რამაც გამოიწვია შენობის სხვადასხვა სახის დაზიანება. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტმა 2018 წლის 11 ოქტომბერს მიმართა მიმწოდებელს ხარვეზების აღმოსაფხვრელად. მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით მიმწოდებელმა ხარვეზები გამოასწორა.

ობიექტის დათვალიერებისას გამოვლინდა, რომ საბავშვო ბაღი არ ფუნქციონირებს. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, საბავშვო ბაღისათვის საჭიროა ინვენტარის შეძენა, რომელიც დაგეგმილია 2018 წელს¹³. ამდენად, მუნიციპალიტეტმა 2017 წელს ისე დაგეგმა საბავშვო ბაღის მშენებლობა, რომ არ იყო გათვალისწინებული მისი ფუნქციონირებისათვის საჭირო ინვენტარის შეძენა, რის გამოც აუდიტის მიმდინარეობისას ბაღი გახსნილი არ იყო. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, 2018 წელს გამოცხადდა ტენდერი საბავშვო ბაღის ინვენტარის შესყიდვაზე, აუდიტის მიმდინარეობის პერიოდისათვის ინვენტარი შეძენილია, თუმცა ბაღი არ ფუნქციონირებს.

ჯვარცხმის კულტურის სახლის რეაბილიტაცია

მუნიციპალიტეტმა 2016 წელს განუხორციელა სოფელ ჯვარცხმის კულტურის სახლის მოწყობა. ხელშეკრულება გაფორმდა შპს „ჯორჯიან კომპანთან“¹⁴. სამუშაოები ითვალისწინებდა შენობის გადახურვასა და შიდა ოთახების ნაწილის რეაბილიტაციას. შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 142.2 ათასი ლარი. მიმწოდებელს სამუშაოები უნდა დაესრულებინა 2016 წლის 1 აგვისტომდე. მიმწოდებელმა სამუშაოები

¹² 2017 წლის ხელშეკრულება N 143 - NAT170006814.

¹³ გამოცხადებულია ტენდერი ინვენტარის შეძენაზე.

¹⁴ SPA160005613; ხელშეკრულება N76.

დაასრულა 22 აგვისტოს. ვადის გადაცილების მიუხედავად, მუნიციპალიტეტმა მიმწოდებელს არ დაარიცხა საჯარო სახეობა, თანხით 2.4 ათასი ლარი¹⁵.

2018 წლის 13 ივნისს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტის ჯგუფმა და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა დაათვალიერეს შესრულებული შენობის რეაბილიტაციის სამუშაოები. დათვალიერებისას გამოვლინდა, რომ შენობაზე სახურავის ნაწილი გადახდილია, ჩამოსულია წყალი და დაზიანებულია ჭერი და კედლები, სცენას არ აქვს ასასვლელი. ობიექტი დაუსუფთავებელია და არ ფუნქციონირებს.

სურათი № 5 სოფელ ჯვარცხმის კულტურის სახლი



პასუხისმგებელი პირის განმარტებით, გადახურვის ქვეშ ერთ (ბოლო) ნაწილს აკლდა შენობის გადახურვის რკინის კონსტრუქციები, რაც არ იქნა გათვალისწინებული შენობის რეაბილიტაციის პროექტის შედგენისას. 2018 წლის აპრილში ძლიერი ქარის გამო სახურავი დაზიანდა და გადაიხდა იმ ნაწილში სადაც არ იყო რკინის კონსტრუქციები. მუნიციპალიტეტს არ განუხორციელებია შესაბამისი ღონისძიებები წარმოქმნილი დაზიანებების მიზეზების გამოსაკვლევად - კულტურის სახლის სახურავის დაზიანება

¹⁵ 54.1X22X0.2%-2.4 ათასი ლარი.

გამოიწვია არასწორად შედგენილმა პროექტმა თუ უხარისხოდ შესრულებულმა სამუშაოებმა.

პასუხისმგებელი პირის განმარტებით, რეაბილიტირებული შენობა ვერ გამოიყენეს შესაბამისი ინვენტარის არქონის გამო. დაზიანებული სახურავისა და სხვა დეფექტების აღმოფხვრა გათვალისწინებულია 2018 წელს, რისთვისაც მუნიციპალიტეტმა გამოაცხადა ტენდერი დაზიანებული ნაწილების აღსადგენად საპროექტო ხარჯთაღრიცხვის შესყიდვაზე.

მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულება ითვალისწინებდა ორწლიან საგარანტიო მექანიზმს, რომლის დროსაც მიმწოდებელი ვალდებული იყო საკუთარი ხარჯებით აღმოეფხვრა უხარისხობით გამოწვეული ხარვეზები. მიუხედავად იმისა, რომ შესრულებული სამუშაოები დაზიანებულია საგარანტიო პერიოდში, მუნიციპალიტეტმა არ მიმართა მიმწოდებელს ხარვეზების გამოსწორების მოთხოვნით.

სოფელ ბუკისციხის გზა

2015 წელს სოფელ ბუკისციხესთან დაიმეწყრა გზის ერთი მონაკვეთი. სამუშაოების შესასრულებლად გამგებამ შეისყიდა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია¹⁶. შედგენილ დოკუმენტაციაზე მიმწოდებელმა წარმოადგინა საექსპერტო დასკვნა, სადაც აღნიშნულია, რომ მთის ფერდი, რომელზეც უნდა გაიაროს გზამ, პოტენციურად მეწყერულია და პრობლემის მოგვარებისათვის საჭიროა კაპიტალური მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, გზის სრულყოფილი რეაბილიტაცია დიდ ფინანსურ ხარჯებთან (დაახლოებით მილიონი ლარი) არის დაკავშირებული, ამიტომ დაიგეგმა ფერდის მხარეს გზის ღერძის გადაწევა.

2016 წელს მთავრობის შესაბამისი განკარგულებების¹⁷ საფუძველზე, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მუნიციპალიტეტს გამოეყო თანხები სოფელ ბუკისციხის გზის დამეწყრილი მონაკვეთის აღდგენის სამუშაოების შესასყიდად. მუნიციპალიტეტმა სამუშაოების შესასრულებლად ხელშეკრულება გააფორმა ტენდერში გამარჯვებულ შპს „ახალმშენთან“¹⁸, რომელმაც სამუშაოები დაასრულა და მუნიციპალიტეტმა ობიექტი ჩაიბარა 2017 წლის 23 იანვარს, ღირებულებით 191.9 ათასი ლარი.

2018 წლის 13 ივნისს აუდიტის ჯგუფმა და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა დაათვალიერეს შესრულებული საგზაო სამუშაოები. დათვალიერებისას გამოვლინდა რომ,

¹⁶ პროექტი შეადგინა შპს „საქ გზათა სამეცნიერო კვლევითი და საწარმოო ტექნოლოგიური კომპლექსური ინსტიტუტი საქგზამეცნიერებამ“.

¹⁷ 2016 წლის 28 ივლისის N1533 განკარგულება, 2016 წლის 18 ივლისის N1409 განკარგულება.

¹⁸ NAT160002092 ხელშეკრულება N240.

ერთ მონაკვეთზე გზა დაზიანებულია, ჩავარდნილია დაახლოებით 20 გრმ. მეტრი გზის ნაწილი და მოსახლეობა შეზღუდულად სარგებლობს აღნიშნული გზის მონაკვეთით.

სურათი № 6 სოფელ ბუკისციხის გზა



პასუხისმგებელი პირის განმარტებით, გზის სამუშაოები განხორციელდა პროექტის შესაბამისად, ხოლო გზის დაზიანება გამოიწვია მეწყრულმა პროცესებმა. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, გზის ამ მონაკვეთის რეაბილიტაციისათვის დამატებით ფინანსური სახსრების ხარჯვა არ იგეგმება. აღნიშნულ მიდგომას ვერ დაეთანხმება სახელმწიფო აუდიტის სამსახური. იმის გათვალისწინებით, რომ გზით სარგებლობს მოსახლეობა და მეწყრული მდებარეობიდან გამომდინარე შესაძლოა საფრთხის შემცველი იყოს მისი გამოყენება, მიზანშეწონილია მუნიციპალიტეტმა იზრუნოს საკითხის მოგვარებაზე და შესაბამისი ფინანსური რესურსების მობილიზებით უზრუნველყოს პრობლემის გადაწყვეტა.

საგზაო სამუშაოები

1. 2016 წელს მუნიციპალიტეტმა ხელშეკრულება გაუფორმა შპს „ჩოხატაურის ავტოსერვისცენტრს“ სოფელ კოხნარაში სტიქიით დაზიანებული მისასვლელი გზების შეკეთების სამუშაოებზე. მუნიციპალიტეტმა თებერვალში ჩაიბარა სამუშაოები, თანხით 50.9 ათასი ლარი¹⁹.

შპს „ჩოხატაურის ავტოსერვისცენტრთან“ გაფორმებულ ხელშეკრულებაში მითითებულია, რომ შემსყიდველის მოთხოვნით, მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს სამუშაოს შესრულების პროცესში გამოყენებული მასალებისა და ნაკეთობების შესაბამისობის დამადასტურებელი სერტიფიკატები, ასევე ლაბორატორიული დასკვნები.

¹⁹ 2015 წლის 9 დეკემბრის N326 ხელშეკრულება. -CMR150211812.

2018 წლის 14 ივნისს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტის ჯგუფმა და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა დაათვალიერეს შესრულებული სამუშაოები. ობიექტის დათვალიერებისას აღმოჩნდა, რომ ერთ მონაკვეთზე დაზიანებულია გზის საფარის საფუძველი და ზედა ფენა.

სურათი № 10. სოფელ კოხნარას გზა



2. 2016 წელს მუნიციპალიტეტმა ხელშეკრულება გაუფორმა შპს „ჩოხატაურის ავტოსერვისცენტრს“ სოფელ ნაბელავში (ჭინჭიხას უბანში) გზის ასფალტო ბეტონით (ფრაგმენტული) მოწყობის სამუშაოებზე. მუნიციპალიტეტმა 2016 წლის ოქტომბერში ჩაიბარა სამუშაოები, თანხით 12.5 ათასი ლარი²⁰.

2018 წლის 13 ივნისს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტის ჯგუფმა და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა დაათვალიერეს შესრულებული გზის სამუშაოები. ობიექტის დათვალიერებისას აღმოჩნდა, რომ გზა რამდენიმე ადგილას დაზიანებულია.

სურათი № 11 სოფელ ნაბელავის გზა



²⁰ 2015 წლის 29 ივლისის 164 ხელშეკრულება - SPA160000104.

პასუხისმგებელი პირების განმარტებით, ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენისას, საპროექტო ორგანიზაციებზე მოთხოვნილი იყო გაეთვალისწინებინათ მუნიციპალიტეტში გახშირებული სტიქიური მოვლენები, მიუხედავად ამისა, გზის დაზიანებები გამოიწვია სტიქიებმა. 2018 წელს დაგეგმილია სოფელ კოხნარაში არსებული გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია. მიუხედავად იმისა, რომ გზის საფარი რეაბილიტაციიდან მალევე დაზიანდა, მუნიციპალიტეტს არ შეუსწავლია საკითხი იმის შესახებ, თუ რამ გამოიწვია დაზიანება - საპროექტო დავალების არასწორად განსაზღვრამ თუ მიმწოდებლების მიერ უხარისხოდ შესრულებულმა სამუშაოებმა.

მიმწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები ითვალისწინებდა ორწლიან საგარანტიო მექანიზმს. მიუხედავად იმისა, რომ რეაბილიტირებულ ობიექტებს გააჩნია მოქმედი საგარანტიო ვადა, მუნიციპალიტეტს არ მიუმართავს, ხოლო მიმწოდებელს არ აღმოუფხვრია არსებული დაზიანებები.

საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტმა 2016 წლის იანვარში მიმწოდებლისგან ჩაიბარა ხევის საბავშვო ბაღში წყლის შეყვანის სამუშაოები, ხოლო 2017 წლის აპრილში სხვადასხვა სარემონტო სამუშაოები²¹. 2018 წლის 13 ივნისს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტის ჯგუფმა და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა დაათვალიერეს შესრულებული სამუშაოები. დათვალიერებისას გამოვლინდა, რომ ბაღის შენობის შიდა კედლების ნაწილი დაზიანებულია.

სურათი № 12 სოფელ ხევის საბავშვო ბაღი



²¹ წყლის შეყვანის სამუშაოები 2015 წელს შეასრულა ი.მ. „გია ხუნდაძემ“ (ხელშეკრულება N173), სხვა სარემონტო სამუშაოები 2017 წელს შპს „გიორგი+“ (ხელშეკრულება N61, NAT170003428).

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით გამოვლინდა, რომ ხევის საბავშვო ბაღის სარემონტო სამუშაოები 2015 წელს შეასრულა ტენდერში გამარჯვებულმა შპს „იმერეთი 2014“-მა თანხით 41.9 ათასი ლარი²². პასუხისმგებელი პირის განმარტებით, დეფექტები გამოწვეულია იმით, რომ შენობა დგას ჭარბტენიან გრუნტზე, რაც იწვევს მის დანესტიანებას და დაზიანებას.

ზემოთ აღნიშნულ სარეაბილიტაციო პროექტებზე წარმოქმნილი დაზიანებების გამომწვევი მიზეზი სავარაუდოდ არის მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოს დაბალი ხარისხი.

მუნიციპალიტეტი ვალდებული იყო დაედგინა დაზიანების გამომწვევი მიზეზები, პასუხისმგებელი პირები და ზარალის ანაზღაურების მიზნით, მათ მიმართ გაეტარებინა შესაბამისი ღონისძიებები. მუნიციპალიტეტს აღნიშნული ღონისძიებები არ განუხორციელებია.

დასკვნა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტმა (შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა) სამუშაოების მიღება-ჩაბარების და კონტროლის პროცედურები ვერ წარმართა ისე, რომ გამოველინა უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები. მიმწოდებლების მიერ წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნებმა ვერ უზრუნველყო შესრულებული სამუშაოების ხარისხის დადასტურება, რადგან ექსპერტიზა ჩატარებულია მხოლოდ მოცულობებზე და არ არის შესწავლილი სამუშაოების ხარისხი. ამდენად, მუნიციპალიტეტმა ვერ შეძლო სამშენებლო ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისი სამუშაოების მიღება. შედეგად მუნიციპალიტეტმა 2016-2017 წლებში 9 ხელშეკრულების ფარგლებში ჩაიბარა უხარისხოდ შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტები, საერთო ღირებულებით 727.8 ათასი ლარი.

რეკომენდაცია №1: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიამ დანერგოს დამატებითი კონტროლის მექანიზმები და დააწესოს ისეთი პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს შესრულებული სამუშაოების შესაბამისობას სამშენებლო ნორმებთან და სტანდარტებთან. აღნიშნული ხელს შეუწყობს შესყიდული ობიექტების გამართულ ფუნქციონირებას და მოსახლეობისთვის ინფრასტრუქტურული პროექტების ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ხარვეზების გარეშე მიწოდებას. მუნიციპალიტეტმა შეისწავლოს

²² 2015 წლის 29 ივლისის 111 ხელშეკრულება SPA150015333.

პროექტების დაზიანების გამომწვევი მიზეზები, გამოავლინოს პასუხისმგებელი პირები და გაატაროს მათ მიმართ შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებები.

ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლებიც არ ფუნქციონირებდა

კრიტერიუმი: შეზღუდული ფინანსური რესურსების პირობებში, მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტმა დააფინანსოს ისეთი პროექტები, რომლებიც დააკმაყოფილებს მოსახლეობის საჭიროებებს. მუნიციპალიტეტი ვალდებულია მშენებლობის პროცესი დაგეგმოს და განახორციელოს ისე, რომ შესყიდული სამუშაოები დასრულდეს დაგეგმილ ვადაში, შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტები იყოს ხარისხიანი და მისგან მიღებული შედეგი დადებითად აისახებოდეს მოსახლეობაზე.

გამოვლენილი გარემოება: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტმა 2017 წელს შეისყიდა 3 სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტი, თანხით 161.1 ათასი ლარი. აღნიშნული პროექტები არ ფუნქციონირებდა. კერძოდ:

სოფელ ვანში ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია

მუნიციპალიტეტმა 2017 წელს გამოაცხადა ტენდერი სოფელ ვანში ძველი ადმინისტრაციული შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე, ბიბლიოთეკისა და ახალგაზრდული ცენტრის განთავსების მიზნით. სამუშაოები შეასრულა ი.მ. „ზაზა ჯიბუტმა“, შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 42.3 ათასი ლარი²³. მუნიციპალიტეტმა სამუშაოები ჩაიბარა 2017 წლის 27 ნოემბერს.

2018 წლის 15 ივნისს აუდიტის ჯგუფმა, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად, დაათვალიერა შესრულებული სამუშაოები. ობიექტის დათვალიერებისას გამოვლინდა, რომ შენობა არ ფუნქციონირებს. მუნიციპალიტეტის მიერ პროექტის მიღებიდან გასულია დაახლოებით ერთი წელი, მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტს არ განუხორციელებია შესაბამისი ღონისძიებები შენობაში ბიბლიოთეკისა და ახალგაზრდული ცენტრის ფუნქციონირებისათვის. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღნიშნული შენობის დატვირთვისათვის საჭიროა დამატებითი ფინანსური რესურსი, 5.0 ათასი ლარის ოდენობით. მუნიციპალიტეტი 2019 წელს გეგმავს შენობის ფუნქციურ დატვირთვას. მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტს 2017 წლის ბოლოს გააჩნდა საკმარისი თავისუფალი ფულადი სახსრები, 2018 წელს ბიუჯეტის შედგენისას არ დაგეგმა აღნიშნული ობიექტის ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების გაწევა.

²³ 2017 წლის ხელშეკრულება N 141 - NAT170006822.

სავაჭრო პავილიონების მოწყობა

მუნიციპალიტეტმა გარე ვაჭრობის მოწესრიგების მიზნით 2017 წელს დაბა ჩოხატაურში რუსთაველის ქუჩის შესახვევში მოაწყო სავაჭრო პავილიონები²⁴. სამუშაოები შეასრულა ი.მ „ბესიკ სოლომონიძემ“, საერთო თანხით 13.0 ათასი ლარი. შემსყიდველმა სამუშაოები ჩაიბარა 2017 წლის 29 ნოემბერს.

2018 წლის 14 ივნისს აუდიტის ჯგუფმა, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად, დაათვალიერა შესრულებული სამუშაოები. გამოვლინდა, რომ სავაჭრო პავილიონები არ არის დატვირთული.

სურათი №4 სავაჭრო პავილიონები



ობიექტის მიღებიდან ერთი წელის განმავლობაში მუნიციპალიტეტს არ განუხორციელებია ღონისძიებები სავაჭრო პავილიონების ფუნქციურად დასატვირთად. მხოლოდ აუდიტის ჯგუფის მიერ საკითხის დაინტერესების შემდეგ, მუნიციპალიტეტის პასუხისმგებელი პირის განმარტებით, მოხდა გარე მოვაჭრეების პავილიონში შეყვანა.

სპორტული სკოლის სახურავის აღდგენითი სამუშაოები

მუნიციპალიტეტმა 2017 წელს გამოაცხადა ტენდერი, დაბა ჩოხატაურში სპორტული სკოლის დამხმარე შენობის რეაბილიტაციაზე, სადაც განთავსდებოდნენ სპორტულ ღონისძიებებში მონაწილე გუნდები (გათვალისწინებული იყო სასტუმროს ტიპის ობიექტი). სამუშაოები შეასრულა შპს „აკვადუკი 07-მა“²⁵. ხელშეკრულების ფარგლებში დემონტირებულ იქნა არსებული, ძველი სახურავი და მოეწყო ახალი. მუნიციპალიტეტმა სამუშაოები ჩაიბარა 2017 წლის 30 აგვისტოს, ღირებულებით 105.8 ათასი ლარი.

²⁴ 2017 წლის ხელშეკრულება N 154 - NAT170009072.

²⁵ 2017 წლის ხელშეკრულება N 91 - NAT170005935.

პასუხისმგებელი პირების განმარტებით აღნიშნული შენობა 1993 წლიდან დაკავებული ჰქონდა 12 ოჯახს.

2018 წლის 14 ივლისს აუდიტის ჯგუფმა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერა შესრულებული სამუშაოები. გამოვლინდა, რომ აღნიშნული შენობა კვლავ დაკავებულია 12 ოჯახის მიერ, შესაბამისად შენობა თავისი დანიშნულებით არ ფუნქციონირებს. პასუხისმგებელი პირების განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ გამგებამ (მერიამ) აქ მცხოვრებლებს არაერთხელ შესთავაზა ალტერნატიული ფართები, მათი გამოყვანა ვერ მოხერხდა.

დასკვნა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა შესასრულებელი სამუშაო პროცესის დაგეგმვა და მართვა ვერ განახორციელა ისე, რომ მიღწეულიყო პროგრამის ფარგლებში დასახული მიზანი. კერძოდ, ადმინისტრაციული შენობის, სპორტული სკოლისა და სავაჭრო პავილონის მშენებლობა-რეაბილიტაციის დაგეგმვისას ვერ გაითვალისწინა მათი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსური რესურსი ან სწორად ვერ განსაზღვრა მოსახლეობის საჭიროებათა პრიორიტეტები. ასევე, მიუხედავად იმისა, რომ სამუშაოების მიღება-ჩაბარებიდან გასულია ერთ წელზე მეტი, მუნიციპალიტეტს 2 ობიექტზე არ განუხორციელებია დამატებითი ღონისძიებები მათი ფუნქციური დატვირთვისათვის. შესაბამისად, 148.1 ათასი ლარი დახარჯულია პროექტებზე, რომლითაც მოსახლეობა ვერ სარგებლობს ან ისეთ პროექტზე, რომლებიც ფუნქციურად დატვირთული არ არის.

რეკომენდაცია №2: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიამ ინფრასტრუქტურული ღონისძიებები უნდა დაგეგმოს ყველა იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს პროექტის წარმატებით დასრულებას. კონკრეტული სამუშაოს დაგეგმვის დროს მუნიციპალიტეტმა უნდა შეისწავლოს მის ხელთ არსებული ფინანსური და მატერიალური რესურსები და აქედან გამომდინარე, განსაზღვროს, რამდენად შესაძლებელია პროექტის განხორციელება და დასახული მიზნის მიღწევა. მუნიციპალიტეტმა აღწეროს დაუსრულებელი ან/და უფუნქციო შენობები, შეისწავლოს მათი შემდგომი ექსპლუატაციის საკითხი და საჭიროების მიხედვით განსაზღვროს შენობა-ნაგებობების გამოყენების მიმართულებები.

დაზიანებული ნაპირსამაგრი სამუშაოები

კრიტერიუმი: სტიქიის შედეგების აღმოსაფხვრელად ან/და პრევენციისათვის, მუნიციპალიტეტი ახორციელებს საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოების შესყიდვას.

მუნიციპალიტეტი ვალდებულია სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ შეიმუშავოს სტრატეგია და სამუშაოები დაგეგმოს და განხორციელოს ისე, რომ მაქსიმალურად უზრუნველყოს სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია ან/და სტიქიის პრევენცია.

გამოვლენილი გარემოება: 2016-2017 წლებში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ 6 ხელშეკრულების²⁶ ფარგლებში განხორციელებულია ნაპირსამაგრი და წყალამრიდი ნაგებობების სამუშაოები, საერთო თანხით 573.6 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტის განმარტებით, ნაპირსამაგრი პროექტების განხორციელება ძირითადად მიმართულია სტიქიის შედეგების აღმოსაფხვრელად ან/და პრევენციისათვის.

პასუხისმგებელი პირის განმარტებით, სამუშაოებზე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისას გათვალისწინებული იყო კლიმატური პირობები და სტიქიური მოვლენების სიხშირე. მიმწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად, შესრულებულ სამუშაოებზე მოთხოვნილია ექსპერტიზის დასკვნა.

ცხრილი №2. ნაპირსამაგრი სამუშაოების მოწყობა

შესრულებული სამუშაო	ხელშეკრულება SPA	ღირებულება (ათასი ლარი)	დაზიანება
შპს „პალადა“ – მდინარე სუფსაზე წყალამრიდი ნაგებობების მოწყობა	N241 NAT160002025	312.7	ბეტონის კუბების ნაწილი წაქცეულია და დაფარულია წყლით, ხოლო გაბიონის ყუთების ნაწილი ჩამოშლილია.
შპს „სოფო-2013“ – მდინარე სუფსაზე საყრდენი კედლის მოწყობა	N220 NAT160001755	69.3	ბეტონის კუბების ნაწილი წაქცეულია, ჩაწოლილია მდინარეში და ნაწილობრივ დაფარულია წყლით.
შპს „ელეგანტი“ – გაბიონის საფუძველის მოწყობა მდინარე სუფსაზე	N235 NAT160001758	47.7	ნაგებობას გამოცლილი აქვს ნაპირსამაგრის საფუძველად მოწყობილი გაბიონის ლეიბები.
ი.მ „ზაზა ჯიბუტი“ – მაჩაქის ხიდის ნაპირსამაგრის მოწყობა	N217 NAT160001797	17.4	ხიდის გასამაგრებლად მოწყობილი ფილებიდან ერთი წაქცეულია, ხოლო ერთი ბეტონის კუბი წაიღო მდინარეში.
შპს „ნიუ ჯორჯია“ – გაბიონის მოწყობა მდინარე გუბაზეულზე	N252 NAT160002732	61.7	გაბიონის ლეიბების ძირი გამორეცხილია, გაბიონის ნაწილი ჩაშლილია, ხოლო ნაწილი გადახრილი.
შპს „გრინ-ვეის“ – ხიდის გადასასვლელის აღდგენა მდინარე გუბაზეულზე	N313 CMR150208785	64.8	დაზიანებულია ხიდის ორივე მისასვლელი, ბეტონის კუბიკები გადაბრუნებულია და დაცილებულია ერთმანეთს, ჩარეცხილია ხიდზე გადასასვლელი.
სულ		573.6	

²⁶ N241, 220,235,217,252,313.

მუნიციპალიტეტმა ჩაიბარა ზემოთ აღნიშნული სამუშაოები, რითაც დაადასტურა შესრულებული სამუშაოების შესაბამისობა ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

2018 წლის 14 ივნისს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტის ჯგუფმა და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა დაათვალიერეს შესრულებული ნაპირსამაგრი სამუშაოები. დათვალიერებისას გამოვლინდა სხვადასხვა სახის დაზიანებები:

- მოწყობილი ბეტონის კუბების ნაწილი წაქცეულია და დაფარულია წყლით, ხოლო გაბიონის ყუთების ნაწილი ჩამოშლილია. ნაგებობას გამოცლილი აქვს ნაპირსამაგრის საფუძვლად მოწყობილი გაბიონის ლეიბები.

სურათი №7. მდინარე სუფსაზე მოწყობილი გაბიონები (წყალსაცავი სადგურის და გურამიშვილის ქუჩის მიმდებარედ)



- მოწყობილი ბეტონის კუბების ნაწილი წაქცეულია, ჩაწოლილია მდინარეში და ნაწილობრივ დაფარულია წყლით.

სურათი № 8 მდინარე სუფსაზე საყრდენი კედლების მოწყობის სამუშაოები



- დაზიანებულია ხიდის ორივე მისასვლელი, ბეტონის კუბები გადაბრუნებულია, ნაწილი დაცილებულია ერთმანეთს, ჩარეცხილია ხიდზე გადასასვლელი. ხიდით ვერ სარგებლობს მოსახლეობა.

სურათი № 9. სოფელ ზეოლიეთში მდინარე გუბაზეულზე აღდგენილი ხიდის გადასასვლელი



სტიქიის სალიკვიდაციო ან პრევენციის ღონისძიებების დაგეგმვა მუნიციპალიტეტმა უნდა განახორციელოს იმგვარად, რომ სტიქიის განმეორების შემთხვევაში, შესრულებულმა სამუშაოებმა სრულად უზრუნველყოს დასახელებული პრობლემის გადაწყვეტა, ამ შემთხვევაში, სტიქიის შედეგების თავიდან არიდება. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, სამუშაოებზე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისას გათვალისწინებულია კლიმატური პირობები და სტიქიური მოვლენების სიხშირე, თუმცა ზემოთ აღნიშნულ შემთხვევებში, შესრულებული სამუშაოები დაზიანებულია. ასევე, მიმწოდებლების მიერ წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნებით ირკვევა, რომ სამუშაოების ხარისხი შესწავლილია მხოლოდ ვიზუალურად, რაც ვერ უზრუნველყოფს იმის დადასტურებას, თუ რამდენად ხარისხიანად შესრულდა ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოები.

აღსანიშნავია, რომ მიმწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები ითვალისწინებდა ორწლიან საგარანტიო მექანიზმს, რომლის დროსაც მიმწოდებელი ვალდებული იყო საკუთარი ხარჯებით აღმოეფხვრა უხარისხობით გამოწვეული ხარვეზები. მიუხედავად იმისა, რომ რეაბილიტირებულ ობიექტებს გააჩნია მოქმედი საგარანტიო ვადა, მუნიციპალიტეტს არ მიუმართავს, ხოლო მიმწოდებელს არ აღმოუფხვრია არსებული დაზიანებები. აუდიტის ჯგუფის მიერ საკითხით დაინტერესების შემდგომ,

მუნიციპალიტეტმა 2018 წლის 10 ივლისს მიმართა 4 კომპანიას ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით²⁷. აუდიტის მიმდინარეობისას ხარვეზები გამოსწორებული არ იყო.

დასკვნა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ დანერგილმა კონტროლის მექანიზმებმა ვერ უზრუნველყო სათანადო ხარისხის ნაპირსამაგრი სამუშაოების მიღება-ჩაბარება. ასევე, მუნიციპალიტეტს არ შეუძლავლია საკითხი იმის შესახებ, თუ რამ გამოიწვია აღნიშნული სამუშაოების დაზიანება - საპროექტო დავალების არასწორად განსაზღვრამ, არასწორად შედგენილმა პროექტმა თუ მიმწოდებლების მიერ უხარისხოდ შესრულებულმა სამუშაოებმა. შედეგად, ნაპირსამაგრი სამუშაოების მოწყობაზე მუნიციპალიტეტმა დახარჯა 573.6 ათასი ლარი, თუმცა შესრულებული სამუშაოები დაზიანებულია და სრულყოფილად ვერ ასრულებს თავის ფუნქციებს.

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ გაცემული გაუხარჯავი მასალები

კრიტერიუმი: სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ, მუნიციპალიტეტი ახორციელებს საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოების შესყიდვას. მუნიციპალიტეტი ვალდებულია სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ შეიმუშაოს სტრატეგია და სამუშაოები დაგეგმოს და განახორციელოს ისე, რომ მაქსიმალურად შემჭიდროებულ ვადებში განხორციელდეს სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია. ასევე, ხარჯების გაწევის ყველა ეტაპზე დააწესოს კონტროლის მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს სტიქიის შედეგების დროულად და მაქსიმალურად აღმოფხვრას.

გამოვლენილი გარემოება: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს 2016-2017 წლებში მომხდარი სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყო თანხები სახლების გადასახურად და სხვა დაზიანებების აღმოსაფხვრელად. მუნიციპალიტეტმა მიღებული თანხებით შეიძინა სამშენებლო მასალები: მოთუთიებული ნაგლინი, ხის მასალა, ცემენტი, ბლოკი და სხვ. შეძენილი მასალები მუნიციპალიტეტმა გადასცა მოსახლეობას, რომელსაც თავისი ძალებით უნდა აღმოეფხვრა სტიქიის შედეგად მიყენებული დაზიანებები.

2016 წელს მუნიციპალიტეტმა სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ შეიძინა 13.6 ათასი კვ.მ თუნუქი და 227.5 კუბ.მ ხის მასალა, სულ ღირებულებით 230.9 ათასი ლარი. მასალები გადაეცა 125 მოსახლეს. 2017 წელს შეძენილია 37.6 ათასი კვ.მ თუნუქი, 34.2 კუბ.მ ხის

²⁷ შპს „სოფი 2013“ - N3307 წერილი; შპს „ელეგანტი“ - N3309 წერილი; შპს „ნიუ ჯორჯია“ - N3311 წერილი; შპს „პალადა“ - N3312 წერილი.

მასალა, 15.3 ათასი ცალი ბლოკი და 52.5 ტონა ცემენტი, ღირებულებით 385.0 ათასი ლარი. მასალები გადაეცა 343 მოსახლეს.

მუნიციპალიტეტის მიერ მოწოდებული ინფორმაციითა და პასუხისმგებელი პირების განმარტებით ირკვევა, რომ სტიქიის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლის სარეაბილიტაციოდ გადაცემული მასალების ნაწილი არ გამოუყენებია და დასაწყობებული აქვს 251 მოსახლეს, კერძოდ, გამოუყენებელია:

- 29.7 ათასი კვ.მ თუნუქი, თანხით - 260.7 ათასი ლარი;
- 144 კუბ.მ ხის მასალა, თანხით - 74.8 ათასი ლარი;
- 8.7 ათასი ცალი ბლოკი, თანხით - 11.1 ათასი ლარი;
- 26.3 ტონა ცემენტი, თანხით - 5.7 ათასი ლარი.

სულ გამოუყენებელია მოსახლეობაზე გაცემული 352.3 ათასი ლარის სამშენებლო მასალა.

მუნიციპალიტეტმა 2016-2017 წლებში მოსახლეობას გადასცა 615.9 ათასი ლარის ღირებულების მასალა, საიდანაც ნახევარზე მეტი (57.2%) არ არის გამოყენებული.

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ, მუნიციპალიტეტმა უნდა განსაზღვროს სტრატეგია და პროცესი წარმართოს იმგვარად, რომ უზრუნველყოს უმოკლეს დროში სტიქიის შედეგების აღმოფხვრა. მუნიციპალიტეტმა გადაწყვიტა სამშენებლო მასალების დარიგება მოსახლეობისათვის, თუმცა არ გაითვალისწინა მოსახლეობის ცოდნა-გამოცდილება და ფინანსური შესაძლებლობა მასალების გამოყენებასთან დაკავშირებით. შედეგად, გადაცემული სამშენებლო მასალის ნახევარზე მეტი გამოუყენებელია (დასაწყობებულია).

დასკვნა

მუნიციპალიტეტმა ვერ შექმნა და დანერგა მასალების გაცემის და ხარჯვის კონტროლის ისეთი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფდა სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის აღმოფხვრას და შესაძლებელი იქნებოდა საბოლოო შედეგების მიღწევა. გარდა ამისა, მასალების ნაწილი (მაგალითად ცემენტი) შეიძლება გამოსაყენებლად ვარგისი არ იყოს. შედეგად, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტმა დახარჯა 352.3 ათასი ლარი სტიქიით მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო ღონისძიებებზე, თუმცა მოსახლეობამ ვერ გამოიყენა სამშენებლო მასალები და შესაბამისად, არ არის აღმოფხვრილი სტიქიის შედეგები.

რეკომენდაცია №3: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშაოს სტრატეგია და პროცესი წარმართოს იმგვარად, რომ შესაძლებელი გახდეს სტიქიის შედეგების ოპერატიული აღმოფხვრა. აგრეთვე შეიმუშაოს და დანერგოს ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც საშუალებას მისცემს დროულად გამოასწოროს სტიქიის შედეგად წარმოქმნილი პრობლემები და უზრუნველყოფს დასახული მიზნის მიღწევას. გაატაროს

ლონისძიებები მოსახლეობაში დასაწყობებული სამშენებლო მასალების დანიშნულებისამებრ გამოყენების მიზნით.

მიმწოდებელზე დაურიცხავი ჯარიმა

კრიტერიუმი: სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის მიხედვით, მუნიციპალიტეტი ვალდებულია შესყიდვების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში დაიცვას საკუთარი ინტერესები და უზრუნველყოს სამუშაოების დროულად და ხარისხიანად ჩაბარება. შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის განსაზღვრული პირობების გათვალისწინებით, ფორმდება ხელშეკრულება. კანონმდებლობის თანახმად, ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების უზრუნველსაყოფად, დასაშვებია საჯარიმო სანქციების გამოყენება. შესაბამისად, მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობების მიხედვით, მუნიციპალიტეტი ვალდებულია მიმწოდებელს დაარიცხოს პირგასამტეხლო ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის.

გამოვლენილი გარემოება: 2014 წელს მუნიციპალიტეტმა დაგეგმა დაბა ჩოხატაურში კულტურის სახლის მშენებლობა. შეისყიდა შესაბამისი საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რომლის თანახმად შესასრულებელი სამუშაოების სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა 4,628.9 ათასი ლარით. პროექტი გულისხმობდა 3-სართულიანი შენობის აშენებას, რომელიც გათვლილი იქნებოდა 500 მაყურებელზე. კულტურის სახლის მშენებლობის პირველი ეტაპის სამუშაოების შესყიდვის მიზნით, მუნიციპალიტეტმა 2014 წლის 16 ივნისს გამოაცხადა ტენდერი²⁸. შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა 2,076.0 ათასი ლარით. ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს NBG და გაუფორმა ხელშეკრულება, თანხით - 1,661.9 ათასი ლარი. ხელშეკრულების შესაბამისად, მიმწოდებელს 2014 წელს უნდა შეესრულებინა 1,000.0 ათასი ლარის, ხოლო 2015 წელს - 661.9 ათასი ლარის სამუშაოები.

სამუშაოების დაწყების ეტაპზე მუნიციპალიტეტმა საბანკო გარანტიის საფუძველზე, მიმწოდებელთან განახორციელა საავანსო ანგარიშსწორება 500.0 ათასი ლარის ოდენობით, მიმწოდებელმა შეასრულა მხოლოდ 55.5 ათასი ლარის სამუშაოები, ხოლო დანარჩენი სამუშაოების გაგრძელება ვერ შეძლო კომპანიაში არსებული ფინანსური პრობლემების გამო. ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, მუნიციპალიტეტმა 2014 წლის სექტემბერში ცალმხრივად შეწყვიტა ხელშეკრულება. მუნიციპალიტეტს, მოთხოვნის შესაბამისად, სადაზღვევო კომპანიამ აუნაზღაურა მიმწოდებელზე ავანსად გადახდილი თანხა - 444.5 ათასი ლარი²⁹ და ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია - 33.2 ათასი

²⁸ SPA140015227.

²⁹ 500.0 ათას ლარს (ავანსი) - 55.5 ათასი ლარი (შესრულებული სამუშაოების ღირებულება).

ლარი. ხელშეკრულების არაჯეროვნად შესრულების გამო, მუნიციპალიტეტმა მიმწოდებელს დააკისრა პირგასამტეხლო – 9.5 ათასი ლარის ოდენობით³⁰ და მიმართა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს აღნიშნული პირის არაკეთილსინდისიერ მიმწოდებელთა რეესტრში, ე.წ. „შავ სიაში“ შეყვანის მიზნით. დაკისრებული პირგასამტეხლოს ამოღების მიზნით, მუნიციპალიტეტმა მიმართა სასამართლოს, რომელმაც აღნიშნული თანხის გადახდა დააკისრა მიმწოდებელს. აუდიტის მიმდინარეობისას თანხა გადახდილი არ იყო.

აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულების მიხედვით, სამუშაოების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს პირგასამტეხლოს სახით უნდა დაკისრებოდა შეუსრულებელი სამუშაოების 1.0%. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, მუნიციპალიტეტმა პირგასამტეხლო გაიანგარიშა პირველი ეტაპით (2014 წელს) გათვალისწინებული სამუშაოების მიხედვით, რამაც შეადგინა – 9.5 ათასი ლარი.

იმის გათვალისწინებით, რომ შესასრულებელი სამუშაოები ხელშეკრულებით განისაზღვრა 1 661.9 ათასი ლარით, მუნიციპალიტეტს პირგასამტეხლო უნდა დაერიცხა არა პირველი ეტაპის (1 000.0 ათასი ლარი), არამედ სრული სახელშეკრულებო თანხის გათვალისწინებით. ხელშეკრულების შესაბამისად გაანგარიშების შემთხვევაში, პირგასამტეხლო შეადგენდა – 16.1 ათას ლარს³¹.

დასკვნა

ხელშეკრულების პირობების უგულებელყოფით, მუნიციპალიტეტმა არასწორად გაიანგარიშა მიმწოდებელზე დასარიცხი ჯარიმა. შესაბამისად, სასამართლო დავა მიმწოდებელთან აწარმოა არა 16.1 ათას ლარზე, არამედ – 9.5 ათას ლარზე. საჯარიმო თანხის არასწორი გაანგარიშების გამო, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტმა დაკარგა 5.6 ათასი ლარის შემოსავლის მიღების შესაძლებლობა.

რეკომენდაცია №4: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიამ შესასყიდი სამუშაოების მოწოდებისა და სხვა პირობების დარღვევისათვის, მიმწოდებლებზე სრულად გაავრცელოს ხელშეკრულებით განსაზღვრული საჯარიმო სანქციები და უზრუნველყოს მისაღები საჯარიმო სანქციების სრულად მობილიზება ადგილობრივ ბიუჯეტში.

³⁰ $(1\,000.0 - 55.5) \times 1\% = 9.5$ ათასი ლარი.

³¹ $(1\,662.0 - 55.5) \times 1\% = 16.1$ ათასი ლარი.

გამარტივებული წესით შესყიდული სამშენებლო სამუშაოები

კრიტერიუმი: საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტის შესაბამისად³², გამარტივებული შესყიდვის გზით შეძენილი სამშენებლო სამუშაოების ღირებულება მიმწოდებელს უნდა აუნაზღაურდეს მის მიერ გაწეული ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით. საქართველოს მთავრობის დადგენილების თანახმად, სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვის დროს:

- მიმწოდებელთან ანგარიშსწორება უნდა განხორციელდეს ფაქტობრივი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების საფუძველზე.
- სამუშაოების შესრულებისას იჯარით აღებულ მანქანა-მექანიზმების საიჯარო ხარჯს არ უნდა დაერიცხოს გეგმური დაგროვებისა და ზედნადები ხარჯები.
- ქვეკონტრაქტორის მიერ შესრულებულ სამუშაოებს გეგმური დაგროვებისა და ზედნადები ხარჯები უნდა დაერიცხოს მიმწოდებელსა და შემსყიდველ ორგანიზაციას შორის დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრული პროცენტის ფარგლებში.

გამოვლენილი გარემოება: 2016-2017 წლებში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების განხორციელების მიზნით, გამარტივებული შესყიდვის ფორმით დადებულია 19 ხელშეკრულება, საერთო თანხით - 338.0 ათასი ლარი.

აუდიტის ჯგუფმა მუნიციპალიტეტს მოსთხოვა მიმწოდებლების მიერ შესრულებული სამუშაოების ფაქტობრივი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოების ანაზღაურება ფაქტობრივი დანახარჯებით გულისხმობს სამუშაოს ანაზღაურებას რეალურად გაწეული ხარჯების მიხედვით, რაც შესაძლებელია დადასტურდეს სამუშაოს შესრულების პროცესში შედგენილი სასაქონლო ზედნადებით, ანგარიშ-ფაქტურებით, შრომის ანაზღაურების დოკუმენტით, შესყიდვის აქტებით, იჯარისა და ქირავნობის ხელშეკრულებებით და სხვ.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი მიმწოდებლებისგან არ ითხოვდა დოკუმენტაციას ფაქტობრივი დანახარჯების შესახებ (გარდა სატრანსპორტო ხარჯისა³³) და ანგარიშსწორებას ახორციელებდა წარმოდგენილი ფორმა №2-ების საფუძველზე. შესაბამისად, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, გამარტივებული შესყიდვის დროს 22 ხელშეკრულების ფარგლებში,

³² საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N55 დადგენილება.

³³ მოთხოვნილია მხოლოდ სატრანსპორტო საშუალებების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და დაქირავებულ სატრანსპორტო საშუალებებზე განხორციელებული დარიცხვები არ არის ანაზღაურებული. 7 შემთხვევაში მიმწოდებელზე არ არის ანაზღაურებული 3.4 ათასი ლარი.

სამშენებლო სამუშაოების ანაზღაურება არ განხორციელებულა ფაქტობრივი დანახარჯების დამადასტურებელი დოკუმენტების საფუძველზე. მუნიციპალიტეტმა აუდიტის ჯგუფის მოთხოვნის მიუხედავად ვერ უზრუნველყო ფაქტობრივი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა. არსებობს მაღალი რისკი იმისა, რომ მუნიციპალიტეტმა მიმწოდებელს აუნაზღაურა ზედმეტი საბიუჯეტო სახსრები.

დასკვნა

2016-2017 წლებში სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული წესით შესყიდვისას ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ არ არის დაცული კანონმდებლობის მოთხოვნა ფაქტობრივი დანახარჯებით ანაზღაურების შესახებ. შესაბამისად, 338.0 ათასი ლარი წარმოადგენს შესყიდვების პროცესში შესაბამისი დოკუმენტური დასაბუთების გარეშე ანაზღაურებულ ხარჯს.

რეკომენდაცია №5: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიამ სამშენებლო სამუშაოების მიწოდებაზე გაფორმებული გამარტივებული შესყიდვის ხელშეკრულებების ფარგლებში, ანგარიშსწორება არ განხორციელოს მიმწოდებლების მიერ ფაქტობრივი დანახარჯების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე. ამ მიზნით, მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიზანშეწონილია შეიმუშაოს გამარტივებული შესყიდვის გზით განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების ფაქტობრივი დანახარჯების დათვლის მეთოდი და კონკრეტული წესი, რომელიც შესაბამისობაში იქნება მოქმედ კანონმდებლობასთან. გასული პერიოდის ხელშეკრულებებისათვის საჭიროა მუნიციპალიტეტმა მიმწოდებლებისაგან მოითხოვოს შესაბამისი დოკუმენტაცია და გაიანგარიშოს ფაქტობრივი ხარჯები. შეუსაბამოების არსებობის ან დოკუმენტების წარმოდგენლობის შემთხვევაში, გაატაროს სათანადო სამართლებრივი ღონისძიებები, მათ შორის, მუნიციპალიტეტის შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიმართ, რომლებსაც ევალებოდათ ანგარიშსწორების აღნიშნული პრინციპის დაცვა.

შესყიდვების მართვა

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის მიერ გაფორმებულ ხელშეკრულებაში შესული ყველა ცვლილება შეთანხმებული უნდა იყოს შემსყიდველ ორგანიზაციასთან. ნებისმიერი ცვლილების შეტანის შემთხვევაში აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობით. სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას, კანონმდებლობის შესაბამისად, ხელშეკრულება/ცვლილება რეგისტრირდება გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 დღის ვადაში და იტვირთება შესყიდვების ელექტრონული სისტემის შესაბამის ველში. შემსყიდველი ორგანიზაცია ასევე ვალდებულია დროულად ატვირთოს ხელშეკრულებების შესრულების/შეუსრულებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ასახოს საბოლოო

ანგარიშსწორების შესახებ ინფორმაცია და მიაწოდოს ხელშეკრულებას შესაბამისი სტატუსი („შესრულებული ხელშეკრულება“ ან „შეუსრულებელი ხელშეკრულება“)³⁴. ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულება იდება სატენდერო დოკუმენტაციაში არსებული ხელშეკრულების პროექტის საფუძველზე, სატენდერო პირობებისა და გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად.

საჯარო სამსახურის პრინციპების შესაბამისად, საჯარო მოხელე ვალდებულია მასზე დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობები განახორციელოს მაღალი პროფესიონალიზმით ხალხისა და მუნიციპალური ინტერესების დაცვით.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად მუნიციპალიტეტი მოხელეთა პროფესიული განვითარებისათვის მიმართავს შრომის ანაზღაურებისათვის გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნებების საერთო მოცულობის არანაკლებ 1%-ს³⁵.

გამოვლენილი გარემოება. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტმა 2016-2017 წლებში სხვადასხვა ტიპის სამუშაოს, საქონლისა და მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოაცხადა ტენდერები. ჩატარებული ტენდერების შესწავლით გამოვლინდა სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ ვებგვერდზე არასწორად შევსებული შესაბამისი ველები და ხარვეზის შემცველი სატენდერო დოკუმენტაციის ატვირთვის შემთხვევები. აღნიშნული შესყიდვების ფარგლებში უნდა განხორციელებულიყო რკინა-ბეტონის საფარის, სანიაღვრე არხის, საცალფეხო ხიდის, საყრდენი კედლის, ხიდის დამცავი ბურჯის და სხვა მოწყობის სამუშაოები³⁶.

მუნიციპალიტეტის მიერ, შესყიდვების ერთიან ელექტრონულ ვებ-გვერდის შესაბამის ველში და ატვირთულ სატენდერო დოკუმენტაციაში არასწორად იყო წარმოდგენილი:

- შესყიდვის ტიპი
- შესყიდვის სავარაუდო ღირებულება
- შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა
- შესყიდვის ობიექტის კლასიფიკატორის (CPV) კოდი

³⁴ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2011 წლის 10 თებერვლის №2 ბრძანება „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“.

³⁵ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 101.

³⁶ NAT160000580, №AT160001749, NAT160003127, NAT160003150, NAT160003643. NAT170001180. NAT170001178, NAT170002483.

მუნიციპალიტეტის შესაბამისი პირების მიერ შესყიდვების განხორციელებისას დაშვებული შეცდომების შედეგად ტენდერები შეწყდა და გამოცხადდა თავიდან, რის გამოც დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტი მოსახლეობას მიეწოდა დაგვიანებით.

მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებული ტენდერების შესწავლისას, ასევე გამოვლინდა შემთხვევები, როცა სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ ვებ-გვერდზე შემსყიდველის მიერ ატვირთული ხელშეკრულების პროექტში ასახული პირობები განსხვავებულია მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობებისგან. კერძოდ, 21 შესყიდვის ფარგლებში განსხვავებულადაა წარმოდგენილი ანგარიშსწორების პირობები, 48 - შემთხვევაში საჯარიმო სანქცია, სამუშაოების მიღება-ჩაბარების წესი განსხვავებულია 10 შემთხვევაში, ხელშეკრულების შესრულების კონტროლი - 11 შესყიდვაში, სამუშაოების ხარისხის კონტროლი 34 შემთხვევაში. შესყიდვების კანონმდებლობის შესაბამისად³⁷, ტენდერში გამარჯვებულ პირთან ხელშეკრულება იდება სატენდერო დოკუმენტაციაში არსებული ხელშეკრულების პროექტის საფუძველზე. შესაბამისად, დაუშვებელია მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობები განსხვავდებოდეს ხელშეკრულების პროექტისაგან.

კანონმდებლობის მიხედვით, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას ხელშეკრულებაში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით. ხარჯთაღრიცხვა წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მასში შეტანილი ცვლილება უნდა აისახოს (შევიდეს ცვლილება) ხელშეკრულებაში. მუნიციპალიტეტში შესყიდვების მიმდინარეობისას ზოგიერთ შემთხვევაში მიმწოდებელი წარმოადგენდა შეცვლილ (კორექტირებულ) ხარჯთაღრიცხვას, რომლის შესაბამისად სრულდებოდა სამუშაოები. აღნიშნულ ცვლილებასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტსა და მიმწოდებელს შორის შეთანხმება 2016 წელს გაფორმებული არ არის 26 შემთხვევაში, ხოლო 2017 წელს - 6 შემთხვევაში.

2016-2017 წლებში სისტემური ხასიათი აქვს სახელმწიფო შესყიდვების საიტზე ხელშეკრულებების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაციის დაგვიანებით ატვირთვას³⁸. აუდიტის მიმდინარეობისას სახელმწიფო შესყიდვების საიტზე „მიმდინარე ხელშეკრულების“ სტატუსით იყო 2015 წელს გაფორმებული და დასრულებული ხელშეკრულებები³⁹.

³⁷ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის ბრძანება №9 „გამარტივებული ელ. ტენდერისა და ელ. ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 19, პუნქტი 1.

³⁸ SPA150030113; SPA150030778; SPA150031010; SPA150030305; SPA160003294; SPA160001605; SPA160005603; SPA160010606; SPA160014370 და სხვ.

³⁹ SPA150023265; SPA 150031369; SPA150030572; SPA150019432; SPA150019242 და სხვ.

აღსანიშნავია, რომ შესყიდვის ხელშეკრულების მომზადებისა და მასში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებული საკითხები, მოწესრიგებულია კანონმდებლობით, ასევე შესაბამისი კანონმდებლობითაა განსაზღვრული სატენდერო დოკუმენტაციის სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთვის წესი, რომელთა ცოდნა უნდა გააჩნდეთ მუნიციპალიტეტის შესაბამის პასუხისმგებელ პირებს.

დასკვნა

მუნიციპალიტეტის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ ვებგვერდზე არასწორადაა შევსებული შესაბამისი ველები, ატვირთულია ხარვეზის შემცველი სატენდერო დოკუმენტაცია, რის გამოც ტენდერები შეწყდა და გამოცხადდა თავიდან. შედეგად, მუნიციპალიტეტის მიერ დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები მოსახლეობას მიეწოდა დაგვიანებით. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ ვებ-გვერდზე მუნიციპალიტეტის მიერ ატვირთული ხელშეკრულების პროექტში ასახული პირობები განსხვავებულია მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობებისგან, რაც იწვევს არაკონკურენტული გარემოს შექმნას.

რეკომენდაცია №6: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიამ შესყიდვის პროცესი წარმართოს შეუფერხებლად და კანონმდებლობის შესაბამისად. მუნიციპალიტეტმა თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით უზრუნველყოს შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება. კანონმდებლობით გათვალისწინებულ ასიგნებათა ფარგლებში ფინანსური რესურსი მიმართოს მოხელეთა გადამზადებასა და პროფესიულ განვითარებაზე. აღნიშნული ხელს შეუწყობს შესყიდვის პროცესის გამართვას და შესყიდვით მისაღები სარგებელის ადგილობრივ მოსახლეობისთვის დროულად მიწოდებას.

შემოსავლები

დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირება

კრიტერიუმი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, კანონმდებლობის შესაბამისად, დადგენილებით დააწესა დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი⁴⁰. მერია ვალდებულია უზრუნველყოს საკრებულოს მიერ განსაზღვრული დასუფთავების მოსაკრებლის სათანადო ადმინისტრირება.

⁴⁰ „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასუფთავების მოსაკრებლის შემოღებისა და დასუფთავების მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ N50 დადგენილება, (მოქმედი 2011 წლიდან 2017 წლის ივნისამდე). 2017 წლის 28 ივნისის დადგენილება N13.

გამოვლენილი გარემოება: საკრებულოს დადგენილების მიხედვით, დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირებას ახორციელებს ა(ა)იპ კომუნალური სამსახური - „სხივი“. წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით, 2016-2017 წლებში აღნიშნული ა(ა)იპ-ის მიერ იურიდიული პირებისა და ორგანიზაციებიდან ამოღებულია 14.5 ათასი ლარი⁴¹, ხოლო გადაუხდელი დარჩა 0.2 ათასი ლარი. აღსანიშნავია, რომ იმავე პერიოდში დასუფთავების მოსაკრებლის ამოღებაზე გაწეულმა ხარჯმა, ა(ა)იპ კომუნალური სამსახური - „სხივის“ თანამშრომლებზე ანაზღაურების სახით გაცემულმა თანხამ, 13.3 ათასი ლარი⁴² შეადგინა.

პასუხისმგებელი პირის განმარტებით, 2016-2017 წლებში არ განხორციელებულა ფიზიკური პირებისაგან დასუფთავების მოსაკრებლის ამოღება.

მუნიციპალიტეტი არ ფლობს მოსაკრებლის გადამხდელთა სრულ ბაზას, რომლის მიხედვით შესაძლებელი იქნებოდა მისაღები შემოსავლის განსაზღვრა.

დასკვნა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში მოსაკრებლის ამოღებასთან დაკავშირებით არსებული მდგომარეობა ვერ უზრუნველყოფს დასუფთავების მოსაკრებლის სახით მისაღები შემოსავლის სრულად მობილიზებას, რომლის ამოღება შესაძლებელი იქნებოდა შესაბამისი ღონისძიებების ჩატარების შემთხვევაში. შედეგად მოსაკრებლების ამოღებაზე გაწეული ხარჯი და მიღებული შემოსავალი თითქმის ერთმანეთის ტოლია.

რეკომენდაცია №7: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიამ საკრებულოს დადგენილების შესაბამისად, უზრუნველყოს დასუფთავების გადამხდელთა ბაზის შექმნა და წლის განმავლობაში მისაღები მოსაკრებლის გაანგარიშება. ასევე დანერგოს კონტროლის ისეთი მექანიზმები, რომლებიც მაქსიმალურად უზრუნველყოფს დასუფთავების მოსაკრებლის სახით მისაღები შემოსავლების მობილიზებას.

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება

საკრებულოს წევრებზე დასაბუთების გარეშე გაწეული ხარჯები

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის საკრებულოს არათანამდებობრივ წევრებზე კანონმდებლობა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯის ანაზღაურებას. მუნიციპალიტეტი ანაზღაურებს საკრებულოს კომისიებისა და სამუშაო ჯგუფების სხდომებში მონაწილეობისათვის, ასევე საკრებულოსა და საკრებულოს თავმჯდომარის დავალებების შესრულებისათვის ყოველთვიურად გაწეულ ხარჯებს. გამგეობის (მერიის) მიერ აღნიშნული ხარჯის ანაზღაურება უნდა განხორციელდეს

⁴¹ 2016 წელი – 6.6 ათასი ლარი, 2017 წელი – 7.9 ათასი ლარი.

⁴² 2016 წელს 7.3 ათასი ლარი, 2017 წელს 6.0 ათასი ლარი.

საკრებულოს წევრის მიერ წარმოდგენილი ფაქტობრივად გაწეული ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების საფუძველზე. ხარჯის დამადასტურებელ დოკუმენტს წარმოადგენს პირველადი აღრიცხვის დოკუმენტი, რომელშიც აღინიშნება დოკუმენტის (ფორმის) დასახელება, მისი შედგენის თარიღი, სამეურნეო ოპერაციის შინაარსი, რაოდენობა, ფასი, თანხა, სამეურნეო ოპერაციაში მონაწილე მხარეთა დასახელება, დოკუმენტის სწორად გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირთა ხელმოწერები და სხვა მონაცემები⁴³.

გამოვლენილი გარემოება: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს არათანამდებობის პირებზე ხარჯების ანაზღაურების სახით 2016-2017 წლებში გაცემული თანხა სულ შეადგენს 221.1 ათას ლარს⁴⁴.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 ოქტომბრის №46 დადგენილების მიხედვით⁴⁵, საკრებულოს წევრებს (გარდა თანამდებობის პირებისა) ხარჯების ასანაზღაურებლად ყოველთვიური ზღვრული ოდენობა განესაზღვრათ საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობრივი სარგოს 15%. დადგენილების მიხედვით, ასანაზღაურებელი ხარჯების ოდენობა განისაზღვრება საკრებულოს აპარატის უფროსის მიერ ერთიანი სახით მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.

საკრებულოს არათანამდებობის პირებს, თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად, ეძლევათ არა ფიქსირებული გასამრჯელო, არამედ უნაზღაურდებათ უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები. შესაბამისად, თანხის გაცემის საფუძველი უნდა იყოს ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა შესაბამისი პირველადი აღრიცხვის დოკუმენტი საკრებულოს წევრების მიერ გაწეული ხარჯების დასადასტურებლად.

შესაბამისად, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ საკრებულოს წევრებზე თანხების გაცემა ვერ ჩაითვლება წარმოშობილი ხარჯების ანაზღაურებად, რადგან საფუძვლად არ უდევს ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტი.

დასკვნა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტმა (შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა) 2016-2017 წლებში მუნიციპალიტეტის საკრებულოს არათანამდებობის პირებზე ხარჯების

⁴³ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერს №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის“ მე-5 მუხლი.

⁴⁴ 2016 წელი – 107.4 ათასი ლარი, 2017 წელი – 113.7 ათასი ლარი.

⁴⁵ მუხლი 10.

ასანაზღაურებლად 221.1 ათასი ლარი გასცა შესაბამისი დადასტურების გარეშე, საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებული მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების შეუსაბამოდ.

რეკომენდაცია №8: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიამ არ მოახდინოს საკრებულოს არათანამდებობის პირებზე უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება შესაბამისი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე. მნიშვნელოვანია, რომ საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესი და პრაქტიკა, სრულ შესაბამისობაში იყოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან. აღნიშნული უზრუნველყოფს საკრებულოს წევრის არაანაზღაურებადი საქმიანობის შესახებ, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ დადგენილი პრინციპის დაცვას, ასევე საბიუჯეტო სახსრების დასაბუთებულ ხარჯვას.

შტატგარეშე მოსამსახურეების დაქირავებისას გამოვლენილი ნაკლოვანებები

კრიტერიუმი: კანონმდებლობის შესაბამისად⁴⁶, შტატგარეშე მოსამსახურე არის პირი, რომელიც დანიშნით ან შრომითი ხელშეკრულებით გარკვეული ვადით მიიღება სამსახურში, არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მიხედვით⁴⁷, მუნიციპალიტეტის შტატგარეშე მოსამსახურეთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს გამგეობისა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა საშტატო რიცხოვნობის 10%-ს⁴⁸.

გამოვლენილი გარემოება:

მუდმივ ამოცანათა შესასრულებლად დაქირავება. 2016-2017 წლებში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტმა შტატგარეშე მოსამსახურეების შრომის ანაზღაურებაში დახარჯა 393.0 ათასი ლარი. აქედან, 2016 წელს - 139.5 ათასი ლარი, ხოლო 2017 წელს - 253.5 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტმა შრომითი ხელშეკრულებები გააფორმა და შტატგარეშე მოსამსახურეები დაიქირავა, მათ შორის შემდეგი ფუნქციების შესასრულებლად:

- საკრებულოში სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სპეციალისტი;

⁴⁶ საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“, მუხლი 3 (2016-2017 წლებში მოქმედი რეგულაციების შესაბამისად).

⁴⁷ საქართველოს კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მუხლი 156 (2016-2017 წლებში მოქმედი რეგულაციების შესაბამისად).

⁴⁸ 2018 წლის 1 იანვრიდან საქართველოს კანონის „საჯარო დაწესებულებაში შრომითი ანაზღაურების შესახებ“ 29-ე მუხლის მიხედვით, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულთა რიცხოვნება არ უნდა აღემატებოდეს საშტატო რიცხოვნების 5%.

- საკრებულოს აპარატში საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სპეციალისტი;
- საკრებულოში სოციალური საკითხების კომისიის სპეციალისტი;
- ადმინისტრაციული სამსახურის სპეციალისტი;
- საფინანსო სამსახურის სპეციალისტი და სხვა.

შტატგარეშე მოსამსახურებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების შესწავლით გამოვლინდა, რომ შტატგარეშე მოსამსახურეები უმეტეს შემთხვევაში ინიშნებოდნენ სამი თვით და შემდგომ უგრძელდებოდათ ვადა მთელი წლის განმავლობაში. ხელშეკრულებები არ შეიცავს დროში განსაზღვრულ რაიმე კონკრეტულ დავალებას, შესასრულებელ სამუშაოს ან გასაწევი მომსახურების სპეციფიკას. აქედან გამომდინარე, დაქირავებულის ფუნქციები ფაქტობრივად არ განსხვავდებოდა შტატით დასაქმებული თანამშრომლების საქმიანობისგან. აღნიშნული ეწინააღმდეგება შტატგარეშე მოსამსახურის არამუდმივი სამუშაოების შესასრულებლად დაქირავების პრინციპს. 2016 წელს მუნიციპალიტეტში შტატგარეშე პირებად დასაქმებულთა შორის ფაქტობრივად მუდმივ ამოცანათა შესასრულებლად აყვანილი იქნა 17 შტატგარეშე მოსამსახურე, ხოლო 2017 წელს - 7. აღნიშნულ პირებზე 2016-2017 წლებში შრომის ანაზღაურების სახით სულ გაიცა 167.1 ათასი ლარი⁴⁹.

შტატგარეშე მოსამსახურეთა რაოდენობა. 2016 წელს მუნიციპალიტეტმა დაამტკიცა გამგეობისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხა - 145 ერთეულით. კანონმდებლობის მიხედვით, მუნიციპალიტეტის შტატგარეშე მოსამსახურეთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს გამგეობისა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა საშტატო რიცხოვნობის 10%-ს. შესაბამისად, 2016 წელს მუნიციპალიტეტს შეეძლო ერთდროულად დაექირავებინა არა უმეტეს 14 შტატგარეშე მოსამსახურე. წლის განმავლობაში, სხვადასხვა პერიოდში მუნიციპალიტეტში ფაქტობრივად დასაქმებული იყო 20-21 შტატგარეშე თანამშრომელი. შედეგად, მუნიციპალიტეტის მიერ არ იქნა დაცული კოდექსით დაწესებული ზღვარი. კერძოდ, მუნიციპალიტეტში დაქირავებულ შტატგარეშეთა რაოდენობა 2016 წელს 6-7 ერთეულით აღემატებოდა კანონით დადგენილ ნორმას.

2017 წლის პირველ ექვს თვეში მუნიციპალიტეტმა საშტატო ნუსხით დაამტკიცა 144 საშტატო ერთეული. კანონმდებლობის შესაბამისად მუნიციპალიტეტს შეეძლო ერთდროულად დაექირავებინა 14 შტატგარეშე მოსამსახურე. ფაქტობრივად აღნიშნულ პერიოდში დასაქმებული იყო 19-20 შტატგარეშე პირი, რაც 5-6 ერთეულით აღემატება კანონმდებლობით განსაზღვრულ ნორმას.

⁴⁹ 2016 წელს - 115.1 ათასი ლარი, 2017 წელს - 52.0 ათასი ლარი.

2017 წლის 1 ივლისიდან კანონმდებლობაში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვით მუნიციპალიტეტს უფლება მიეცა გარდა საშტატო ნუსხით დამტკიცებული 10%-სა, 6 თვის განმავლობაში⁵⁰ შტატგარეშე პირებად ჰყოლოდა დასაქმებული ივლისამდე პერიოდში შტატში არსებული თანამშრომლები. 2017 წლის მეორე ნახევრისთვის დამტკიცებულმა საშტატო რიცხოვნობამ შეადგინა 120 ერთეული, შესაბამის პერიოდში მუნიციპალიტეტს შესაძლებლობა ჰქონდა ერთდროულად დაექირავებინა 12 შტატგარეშე თანამშრომელი, რომელსაც კანონმდებლობის შესაბამისად დაემატებოდა 2017 წლის 1 ივლისამდე საშტატო ნუსხით გათვალისწინებული პირები. იმის გათვალისწინებით, რომ მუნიციპალიტეტმა 23 ტერიტორიული ერთეულის წარმომადგენელი გადაიყვანა შტატგარეშედ, მას შეეძლო შრომითი ხელშეკრულებით დაექირავებინა არა უმეტეს 35 მოსამსახურე. აღნიშნულ პერიოდში ფაქტობრივად დასაქმებულ შტატგარეშეთა რაოდენობამ შეადგინა 35-37 ერთეული. შედეგად, 2017 წლის პირველ ექვს თვეში მუნიციპალიტეტში დასაქმებული შტატგარეშე თანამშრომელთა რაოდენობამ 4-5 ერთეულით⁵¹, ხოლო ივლისიდან დეკემბრამდე პერიოდში ბოლო ორ თვეში 1-2 ერთეულით გადააჭარბა კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზღვრულ ოდენობას⁵².

დასკვნა

2016-2017 წლებში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის (შესაბამისი პასუხისმგებელი პირების) მიერ არ არის გათვალისწინებული საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მოთხოვნები შტატგარეშე მოსამსახურეთა შესახებ. მუნიციპალიტეტში დაქირავებულ შტატგარეშეთა რაოდენობა აღემატებოდა კანონით დადგენილ ნორმას. ამასთან შტატგარეშე პირები დასაქმებულია მუდმივ ამოცანათა შესასრულებლად. შედეგად, მუნიციპალიტეტმა არ დაიცვა საბიუჯეტო სახსრების რაციონალური და გონივრული ხარჯვის პრინციპები.

რეკომენდაცია №9: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ და მერიამ არ დაუშვას შრომითი ხელშეკრულებით თანამშრომელთა დაქირავება კანონმდებლობით დადგენილი ზღვრის დარღვევით. მუნიციპალიტეტმა შრომითი ხელშეკრულებები გააფორმოს საჯარო სამსახურის განხორციელების უზრუნველსაყოფად, მხოლოდ დამხმარე ან არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად. აღნიშნული ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში დასაქმებულთა რაოდენობის ოპტიმიზაციას და საბიუჯეტო თანხების რაციონალურ ხარჯვას.

⁵⁰ 2018 წლის იანვრამდე.

⁵¹ შტატგარეშეთა რაოდენობა დადგენილ ნორმას 5 ერთეულით აღემატებოდა იანვარში.

⁵² ნოემბერში შტატგარეშეთა რაოდენობა აღემატებოდა დაშვებულ ნორმას 2, ხოლო დეკემბერში 1 ერთეულით.

სატრანსპორტო საშუალებებზე ხარჯის გაწევისას გამოვლენილი ხარვეზები

კრიტერიუმი: საბიუჯეტო ორგანიზაციებში ავტოსატრანსპორტო საშუალებების ზღვრული ოდენობა, ავტოპარკის გადანაწილების, სატრანსპორტო საშუალებების კლასიფიკაციისა და შესყიდვის ფორმა განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის დადგენილებით. ავტომანქანების ზღვრული ოდენობა დამოკიდებულია საბიუჯეტო ორგანიზაციების საშტატო რიცხოვნობაზე. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ეთხოვათ ავტომობილების შესყიდვის, ჩანაცვლებისა და განაწილებისას ეხელმძღვანელათ ამ დადგენილებით განსაზღვრული პრინციპებით⁵³.

გამოვლენილი გარემოება. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოებს გამართული ფუნქციონირებისათვის ესაჭიროება ავტოსატრანსპორტო საშუალებები. საშტატო რიცხოვნობიდან გამომდინარე, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტისათვის, სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად, რეკომენდებულია 5 ერთეული სამორიგეო ავტომანქანა.

საქართველოს მთავრობის დადგენილება მუნიციპალიტეტებისათვის სარეკომენდაციო ხასიათისაა, თუმცა საბიუჯეტო სახსრების რაციონალური და გონივრული ხარჯვიდან გამომდინარე, მისი შესრულება პრიორიტეტულია, რაც მუნიციპალიტეტის მიერ არ არის დაცული. კერძოდ, რეკომენდებული 5 ერთეულის ნაცვლად, მუნიციპალიტეტი 2016-2017 წლებში განკარგავდა 10 სამორიგეო ავტომანქანას.

გარდა სამორიგეო ავტომანქანებისა, მუნიციპალიტეტი სარგებლობდა და საწვავს გასცემდა თანამშრომლების საკუთრებაში არსებულ ავტომანქანებზე. მუნიციპალიტეტი (შესაბამისი პასუხისმგებელი პირები) 2016 წელს საწვავს ყოველთვიურად გასცემდა საჯარო მოსამსახურეების სარგებლობაში არსებულ 45 ავტომანქანაზე, ხოლო 2017 წელს - 78 ავტომანქანაზე. 2016 წელს საწვავი ლიმიტებით გაიცემოდა: გამგებელზე, მის მოადგილეებზე, საკრებულოს თავმჯდომარესა და მოადგილეზე, საკრებულოს ფრაქციებისა და კომისიების თავმჯდომარეებზე, გამგებლის წარმომადგენლებზე, სამსახურის უფროსებზე. მუნიციპალიტეტმა 2017 წელს გაზარდა საწვავის ლიმიტებით მიმღები პირები და საწვავი აგრეთვე გაიცემოდა სახვადასხვა სამსახურების (ზედამხედველობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურის და სხვა) განყოფილების უფროსებსა და რიგით თანამშრომლებზე. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტმა 2016-2017 წლებში სულ ამ სახით გასცა 150.7 ტონამდე საწვავი, ღირებულებით 254.7 ათასი ლარი.

⁵³ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის N121 დადგენილება (საანგარიშო პერიოდში მოქმედი რედაქციით).

დასკვნა

მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა მტკიცებულებები, რა სამსახურეობრივი საჭიროებით იყო განპირობებული 2016 წელს 45 ავტომანქანაზე საწვავის განაწილება, ასევე, არ არის დასაბუთებული მომსახურე ავტომანქანების რაოდენობის ზრდა 2017 წელს. ამდენად მუნიციპალიტეტს არ გააჩნია რაციონალური მიდგომა ფუნქციონირებისათვის საჭირო ავტოტრანსპორტის გამოყენებასა და საწვავის ხარჯვასთან დაკავშირებით.

რეკომენდაცია №10: მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითმა ორგანომ აღმასრულებელ ორგანოსთან შეთანხმებით, შეიმუშაოს წესი სამსახურეობრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ავტოპარკის გადანაწილების, საწვავის ხარჯვის, სატრანსპორტო საშუალებების კლასიფიკაციისა და შესყიდვის შესახებ. აღნიშნული დოკუმენტი, რომელიც დაფუძნებული იქნება საუკეთესო პრაქტიკაზე, ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის სატრანსპორტო პარკის ოპტიმიზაციას და მოვლა-შენახვის ხარჯების რაციონალიზაციას. ამასთანავე, შემუშავებული წესი მიზანშეწონილია თავსებადი იყოს საქართველოს მთავრობის დადგენილებასთან.

საკონსულტაციო და აუდიტის მომსახურებაზე გაწეული ხარჯი

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტში დასაქმებული მოსამსახურე ვალდებულია შეასრულოს კანონით, თანამდებობრივი ინსტრუქციებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით მასზე დაკისრებული სამსახურეობრივი მოვალეობანი. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის დებულების მიხედვით მისი ძირითადი ფუნქციებია თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის მომზადება, მუნიციპალური პროგრამების საფინანსო გაანგარიშება-დასაბუთება და მიღებული ბიუჯეტის შესრულება, საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივი, მიზანშეწონილი და ეფექტიანი გამოყენებისა და ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშგების მომზადება. საბუღალტრო და შესყიდვების საკითხთა უზრუნველყოფა და სხვ.

კანონმდებლობის მიხედვით მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებით, მოწვეულმა აუდიტორმა შეიძლება ჩაატაროს მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის დამოუკიდებელი აუდიტი⁵⁴.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად მუნიციპალიტეტი მოხელეთა პროფესიული განვითარებისათვის მიმართავს შრომის ანაზღაურებისათვის გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნებების საერთო მოცულობის არანაკლებ 1 პროცენტს.

⁵⁴ საქართველოს კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 140.

გამოვლენილი გარემოება: 2016-2017 წლებში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტმა შპს „დაუ“-სგან შეისყიდა თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ფინანსურ მენეჯმენტთან დაკავშირებული მომსახურება, ღირებულებით 9.6 ათასი ლარი⁵⁵. მხარეების მიერ ყოველთვიურად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტების თანახმად, შპს „დაუ“-მ მუნიციპალიტეტს აწვდიდა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და საფინანსო-საბიუჯეტო საქმიანობის შესახებ მოკვლეულ სიახლეს, მასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ცვლილებებს და უწევდა შესაბამის კონსულტაციას.

2016-2017 წლებში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურსა და ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიულ განყოფილებაში სულ დასაქმებული იყო 14 მოსამსახურე, მათ შორის 1 შტატგარეშე თანამშრომელი, რომელთა შრომის ანაზღაურებამ შეადგინა 203.4 ათასი ლარი. აღსანიშნავია, რომ იმ პირობებში, როდესაც ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის აღნიშნულ სამსახურებში დასაქმებულთა უფლება-მოვალეობაა საბიუჯეტო კანონმდებლობის ცოდნა და პრაქტიკაში განხორციელება, მიზანშეწონილი არ არის ანალოგიურ საკითხებზე კონსულტანტის მომსახურების შესყიდვა და ხარჯის გაწევა.

2016-2017 წლებში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტმა საკრებულოს განკარგულებების საფუძველზე⁵⁶, ტენდერის საშუალებით შეისყიდა 2015 წლის ბიუჯეტის შედგენა-შესრულებისა და 2015 წლის ბალანსის მომზადების აუდიტი, ასევე 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტი, საერთო თანხით 3.0 ათასი ლარი⁵⁷.

კანონმდებლობის მიხედვით, მუნიციპალიტეტს გარე აუდიტები შეეძლო მოეწვია მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის შესამოწმებლად. გარე აუდიტის მიერ ჩატარებული აუდიტორული შემოწმებები არ მოიცავს მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის შემოწმებას. ძირითადად შესრულებულია ბიუჯეტის შესრულების სტატისტიკური მიმოხილვა და არ იძლევა რამე ღირებულ ინფორმაციას, რომელსაც მუნიციპალიტეტი გამოიყენებდა შემდგომ საქმიანობაში. აუდიტის ჯგუფმა ვერ მოიპოვა მტკიცებულება რა სარგებელი მიიღო მუნიციპალიტეტმა გაწეული ხარჯით.

დასკვნა

2016-2017 წლებში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტმა შეისყიდა 9.6 ათასი ლარის საკონსულტაციო მომსახურება, მაგრამ ვერ დაასაბუთა რა აუცილებელი საჭიროებით იყო

⁵⁵ 2016 წელს 4.4 ათასი ლარი, 2017 წელს 6.2 ათასი ლარი.

⁵⁶ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 5 თებერვლის N7 განკარგულება. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 19 დეკემბრის N95 განკარგულება.

⁵⁷ 2016 წლის N56 ხელშეკრულება, 0.5 ათასი ლარი, ა(ა)იპ „საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტა ასოციაცია“; 2017 წლის N28 ხელშეკრულება, 2.5 ათასი ლარი, შპს „აუდიტ-ეკონომიკა“.

განპირობებული საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა. ამ პერიოდში მუნიციპალიტეტმა შეისყიდა აგრეთვე 3.0 ათასი ლარის გარე აუდიტების მომსახურება, რომელიც მოიცავდა ბიუჯეტის შესრულების სტატისტიკურ მიმოხილვას და არ იძლევა რამე ღირებულ ინფორმაციას. ამასთან მუნიციპალიტეტს აუდიტების მოწვევა, შეემლო მისი ორგანოების საქმიანობის შესამოწმებლად. ამდენად მუნიციპალიტეტმა გასწია 12.6 ათასი ლარის არაგონივრული ხარჯი.

რეკომენდაცია №11: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიამ არ განახორციელოს ფინანსურ მენეჯმენტთან დაკავშირებულ საკონსულტაციო მომსახურებაზე ხარჯის გაწევა. საკადრო პოლიტიკა დაგეგმოს და განახორციელოს ისე, რომ დასაქმებულმა საჯარო მოხელეებმა სრულად შეასრულონ მათზე დაკისრებული მოვალეობები. მუნიციპალიტეტმა თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით უზრუნველყოს შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება. კანონმდებლობით გათვალისწინებულ ასიგნებათა ფარგლებში ფინანსური რესურსი მიმართოს მოხელეთა გადამზადებასა და პროფესიულ განვითარებაზე.

საზოგადოებრივ ცენტრებში დასაქმებული თანამშრომლები

კრიტერიუმი: კანონმდებლობა განსაზღვრავს საქმიანობებს, რომელიც მიეკუთვნება სახელმწიფოს უფლება-მოვალეობებს და შესაბამისად, ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. სახელმწიფო ორგანოს უფლებამოსილება მუნიციპალიტეტს შესაძლებელია გადაეცეს ნაწილობრივ ან სრულად შესაბამისი მატერიალური და ფინანსური რესურსების უზრუნველყოფით. მუნიციპალიტეტი საჯარო მოსამსახურეთა დაქირავებას ახდენს საკუთარი საქმიანობის ორგანიზებისა და უფლებამოსილებების განსახორციელებლად და გასცემს მათზე შესაბამის ანაზღაურებას.

გამოვლენილი გარემოება: 2016-2017 წლებში გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის შტატში ირიცხება 2 თანამშრომელი, რომლებიც დასაქმებულნი არიან სოფელ ხიდისთავში არსებულ იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებრივ ცენტრებში. ისინი ასრულებენ იუსტიციის სამინისტროს უფლებამოსილებით განსაზღვრულ სამუშაოებს. მოსახლეობას უწევენ სხვადასხვა სერვისით მომსახურებას: პასპორტის, პირადობის მოწმობის, დაბადების მოწმობის, ქორწინების მოწმობის გაცემას და სხვ. საზოგადოებრივ ცენტრებში დასაქმებული პირები ანგარიშვალდებული არიან იუსტიციის სამინისტროს მიმართ. აღნიშნულ პირებზე 2016 წელს გაწეულმა ხარჯებმა (შრომის ანაზღაურება, მივლინება) შეადგინა 17.4 ათასი ლარი, 2017 წელს კი – 14.8 ათასი ლარი, სულ: 32.2 ათასი ლარი.

აღსანიშნავია, რომ კანონმდებლობა განსაზღვრავს საქმიანობებს, რომლებიც მიეკუთვნება სახელმწიფოს უფლება-მოვალეობებს და შესაბამისად, ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. მათ შორისაა, იუსტიციის საზოგადოებრივი ცენტრის საქმიანობა, რომლის შესრულებაზე მუნიციპალიტეტმა ხარჯი გასწია ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

იუსტიციის საზოგადოებრივ ცენტრში დასაქმებული 2 (ორი) თანამშრომლის მიერ გაწეული საქმიანობა არ მიეკუთვნება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებებს. სხვა დონის სტრუქტურების უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხების გადაწყვეტისას, მუნიციპალიტეტმა მიზანშეწონილია იზრუნოს მიზნობრივი რესურსის მიღებისათვის და იმოქმედოს შესაბამისი ფინანსური უზრუნველყოფის პირობებში.

ა(ა)იპ-ების სუბსიდიით დაფინანსება

კრიტერიუმი: სუბსიდია წარმოადგენს საწარმოებსა და ორგანიზაციებზე მიმდინარე მიზნებისათვის უსასყიდლოდ, დაუბრუნებლად გაცემულ ტრანსფერს. სუბსიდიის დამტკიცებისას გაანგარიშებული უნდა იყოს მისი ოდენობა შესასრულებელი სამუშაოებისა და საქმიანობის გათვალისწინებით. „სუბსიდიის“ მუხლში აღირიცხება ორგანიზაციებზე მიმდინარე და საოპერაციო ხარჯების დასაფინანსებლად გადაცემული თანხები.

გამოვლენილი გარემოება: 2016-2017 წლებში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებდა 14 არაკომერციული (არასამეწარმეო) იურიდიული პირი - ა(ა)იპ⁵⁸. აღნიშნულ დაწესებულებებს ადგილობრივი ბიუჯეტიდან სუბსიდიური დაფინანსების სახით მიღებული აქვთ 6,831.5 ათასი ლარი, რაც ბიუჯეტის მთლიანი გადასახდელების 28.3%-ს შეადგენს.

„საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით, მუნიციპალიტეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციებისათვის ადმინისტრაციული/საოპერაციო ხარჯები არ უნდა შეადგენდეს წინა წლის საკასო ხარჯის 90%-ზე მეტს⁵⁹. ამ მოთხოვნების გათვალისწინებით ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს შვიდი ა(ა)იპ-ისათვის უნდა დაეგეგმა და დაეფინანსებინა სუბსიდია, მაქსიმუმ 1055.8 ათასი ლარის ოდენობით⁶⁰. წარმოდგენილი მონაცემებით, მუნიციპალიტეტმა მის დაფინანსებაზე

⁵⁸ 2018 წლის მდგომარეობით გაუქმებულია 8 ა(ა)იპ და მათი გაერთიანებით შეიქმნა 3 ა(ა)იპ.

⁵⁹ 23-ე მუხლის „ვ“ პუნქტი.

⁶⁰ აღნიშნული შვიდი ა(ა)იპ-ის სუბსიდიური დაფინანსება 2016 წელს შეადგენდა 1173.1 ათას ლარს.

მყოფ შვიდ ა(ა)იპ-ს ადმინისტრაციული ხარჯების დასაფინანსებლად სუბსიდია განუსაზღვრა 1,236.1 ათასი ლარის ოდენობით.

ცხრილი № 3: ა(ა)იპ-ის მიერ 2016-2017 წწ. გაწეული ადმინისტრაციული/საოპერაციო ხარჯები (ათასი ლარი)

N	ა(ა)იპ-ის დასახელება	2016 წლის ადმინისტრაციული ხარჯები (საკასო)	2016 წლის საკასო ხარჯის 90%	2017 წლის ადმინისტრაციული ხარჯები (საკასო)	გადახრა
1	ა(ა)იპ სამხატვრო სკოლა	104.7	94.2	95.7	1.5
2	ა(ა)იპ სამუზეუმო გაერთიანება	155.0	139.5	145.9	6.4
3	ა(ა)იპ კულტურის ცენტრი	397.5	357.8	450.9	93.1
4	ა(ა)იპ საბიბლიოთეკო გაერთიანება	133.9	120.5	128.2	7.7
5	ა(ა)იპ სპორტის განვითარების ცენტრი	160.6	144.4	189.7	45.1
6	ა(ა)იპ სამუსიკო სკოლა	122.8	110.5	123.5	13.0
7	ა(ა)იპ მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი	98.6	88.7	102.7	14.0
სულ		1,173.1	1,055.8	1,236.6	180.8

ამდენად, მუნიციპალიტეტმა არ გაითვალისწინა კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნები და მის მიერ დაფუძნებული იურიდიულ პირების - ა(ა)იპ-ის ადმინისტრაციული/საოპერაციო ხარჯები დააფინანსა ზღვრულ ოდენობაზე 180.3 ათას ლარის მეტი ოდენობით.

2016-2017 წლებში ა(ა)იპ-ებს სუბსიდიის მისაღებად წლის დასაწყისში მუნიციპალიტეტში წარდგენილი აქვთ მოთხოვნები, რომლებშიც ძირითადად მითითებულია დაწესებულების შენახვის ხარჯები (შრომის ანაზღაურების, საქონელი და მომსახურების ხარჯები), კონკრეტული მიზნებისა და გეგმების გარეშე. უმეტეს შემთხვევაში მუნიციპალიტეტის მიერ სუბსიდია გაცემულია ისე, რომ არ არის გაანგარიშებული კონკრეტულ ღონისძიებაზე რომელ პერიოდში, რა რაოდენობის თანხა უნდა გაიხარჯოს.

მაგალითად, ა(ა)იპ კომუნალურ სამსახურს „სხივი“ 2016-2017 წლებში სუბსიდიის სახით მიღებული აქვს 1,107.8 ათასი ლარი. ა(ა)იპ მუნიციპალიტეტში ახორციელებს სხვადასხვა სამუშაოებს, როგორცაა დაგვა-დასუფთავების ორგანიზება, გარე განათების მოვლა-პატრონობა, ექსპლუატაცია, გამწვანებისა და დეკორაციული სამუშაოების შესრულება, სასაფლაოების მოვლა-პატრონობა და სხვა. ა(ა)იპ-ს სუბსიდიის მისაღებად, მუნიციპალიტეტში წარდგენილი აქვს მოთხოვნა, რომელშიც არ არის გაანგარიშებული კონკრეტულ ღონისძიებაზე, რომელ პერიოდში რა რაოდენობის თანხა უნდა გაიხარჯოს; არ არის შედგენილი სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკი; არ არის გათვალისწინებული მომსახურების ხარისხი და კონტროლი მათ შესრულებაზე.

დასკვნა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტმა მის მიერ დაფუძნებულ ა(ა)იპ-ებზე სუბსიდია გასცა შესასრულებელი სამუშაოებისა და ჩასატარებელი ღონისძიებების გათვალისწინების გარეშე. სუბსიდიის ხარჯვის დაგეგმვისას მუნიციპალიტეტს არ მოუთხოვია და არც ა(ა)იპ-ებს წარმოუდგენია, შესასრულებელი სამუშაოების და ჩასატარებელი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია, შედეგად ვერ იქნა დასაბუთებული საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის აუცილებლობა.

რეკომენდაცია №12: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიამ სუბსიდიური დაფინანსებისას, გაითვალისწინოს მათ მიერ შესასრულებელი სამუშაოები და კონკრეტული ღონისძიებები. მოახდინოს ა(ა)იპ-ების მიერ განხორციელებული საქმიანობის შეფასება და სუბსიდიის ხარჯვის შესრულების კონტროლი. აღნიშნული ხელს შეუწყობს საბიუჯეტო სახსრების დასაბუთებულ ხარჯვას.

ინვენტარიზაცია

კრიტერიუმი: კანონმდებლობის თანახმად⁶¹, საბიუჯეტო ორგანიზაციაში აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარება სავალდებულოა ყოველწლიურად, საბიუჯეტო წლის ბოლოს, გარდა უძრავი ქონებისა, რომელთა ინვენტარიზაცია სავალდებულოა 3 წელიწადში ერთხელ მაინც. ინვენტარიზაცია უნდა დასრულდეს საანგარიშგებო წლის ბოლოს.

გამოვლენილი გარემოება: 2016-2017 წლებში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებით⁶² შექმნილია მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების დროებითი საინვენტარიზაციო კომისიები 7 კაცის შემადგენლობით. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში 2016-2017 წლებში ძირითადი საშუალებების და მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა, კომისიის მიერ არ არის შედგენილი საინვენტარიზაციო აქტი და გამოყვანილი ინვენტარიზაციის შედეგები.

⁶¹ „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანება.

⁶² ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 14 დეკემბრის N2117 ბრძანება და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის პირველი დეკემბრის N1751 ბრძანება.

2018 წლის მაისში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერმა, ხელახალი ინვენტარიზაციის ჩატარების მიზნით, გამოსცა ახალი ბრძანება⁶³ და შექმნა დროებითი საინვენტარიზაციო კომისია.

დასკვნა

მუნიციპალიტეტში ფინანსური და არაფინანსური აქტივების დაცულობაზე კონტროლი არ არის სათანადოდ დაწესებული. 2016-2017 წლებში არ არის ჩატარებული აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია. შედეგად, არსებობს რისკი, რომ შეუმჩნეველი დარჩეს მუნიციპალიტეტის კუთვნილი ქონების დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევები და არ მოხდეს შესაბამისი რეაგირება.

შიდა აუდიტი

კრიტერიუმი: შიდა აუდიტის სამსახურის მიზანია დაეხმაროს მუნიციპალიტეტს იმ პოლიტიკისა და პროცედურების განხორციელებაში, რომლებიც დაადგინა ხელმძღვანელობამ, მოწესრიგებული და ეფექტიანი მართვის მიზნით. მათ შორის, აქტივების დასაცავად, თაღლითობისა და შეცდომების აღმოსაჩენად და თავიდან ასაცილებლად, ბუღალტრული აღრიცხვის ჩანაწერების სიზუსტისა და სისრულის უზრუნველსაყოფად, ფინანსების მართვის გასაუმჯობესებლად და სხვ. დასახული ამოცანების მისაღწევად, შიდა აუდიტის სამსახური შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომელთა შესრულება უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის ზრდას.

ორგანიზაციის ხელმძღვანელი ვალდებულია უზრუნველყოს შიდა აუდიტორულ ანგარიშში ასახულ რეკომენდაციებზე შესაბამისი რეაგირება. ის პასუხისმგებელია ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის მონიტორინგსა და შეფასებაზე. მონიტორინგი უზრუნველყოფს შიდა აუდიტორული ანგარიშით გათვალისწინებული რეკომენდაციების დროულ და შესაბამის შესრულებას.

გამოვლენილი გარემოება: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობაში შექმნილია შიდა აუდიტის და ინსპექტირების სამსახური. სამსახური უფლებამოსილია გამგეობის სტრუქტურულ ქვედანაყოფებსა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებში ჩაატაროს სისტემური, შესაბამისობის, ეფექტიანობის, ფინანსური და ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტი, რომელთა მეშვეობით შესაძლებელი იქნება გაირკვეს, რამდენად შეესაბამება მათი საქმიანობა დაგეგმილ მიზნებსა და ამოცანებს,

⁶³ 22 მაისის N857 ბრძანება.

რამდენად კანონიერად, მიზნობრივად და ეფექტიანად ხდება დაფინანსების გამოყენება, არის თუ არა სრულყოფილად დანერგილი მართვისა და კონტროლის მექანიზმები და სხვ. მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2016-2017 წლებში დამტკიცებული ანგარიშების შესწავლით, გამოვლინდა შემდეგი:

სამსახურის მიერ სულ ჩატარებულია 16 აუდიტორული შემოწმება. შემოწმებულია მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული 10 ა(ა)იპ და ერთი შპს⁶⁴. შიდა აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული აუდიტებით გამოვლენილია სხვადასხვა სახის დარღვევა-ნაკლოვანებები (მიგნებები), რომელთა გამოსწორების მიზნით, ა(ა)იპ-ებზე 2016 წელს გაცემულია 42 რეკომენდაცია, საიდანაც შესრულებულია მხოლოდ 24 (57%). ა(ა)იპ-ებსა და შპს-ზე 2017 წელს გაცემულია 38 რეკომენდაცია, საიდანაც აუდიტის მიმდინარეობისას შესრულებული იყო 17 (45%).

სამსახურის მიერ გაცემულია ზოგადი ხასიათის რეკომენდაციები, ამიტომ აღნიშნული რეკომენდაციები ვერ უზრუნველყოფს ორგანიზაციის წინაშე არსებული რისკების მართვისა და შიდა კონტროლის სისტემის გაუმჯობესებას.

სამსახურს არ ჩაუტარებია გამგეობის სტრუქტურული ერთეულების (სამსახურების) საქმიანობის აუდიტორული შემოწმება, არ განუხორციელებია მუნიციპალიტეტის მიერ გაწეული ყველა ხარჯის კანონიერების, მიზნობრივი განკარგვის, მატერიალური ფასეულობებისა და სხვა საშუალებათა რაციონალური გამოყენების შეფასება, აგრეთვე შესაძლო დარღვევებისა და ხარვეზების იდენტიფიცირება.

დასკვნა

მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობა ვერ უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის რესურსების ეკონომიურად გამოყენებას, გამგეობის წინაშე არსებული ამოცანების ეფექტიანად შესრულებასა და მუნიციპალიტეტის მიერ დასახული მიზნების მიღწევას. მუნიციპალიტეტის სტრუქტურულ ერთეულებზე შიდა აუდიტის სამსახურს არ გაუცია შესაბამისი რეკომენდაციები, რაც უზრუნველყოფდა რისკების მართვისა და შიდა კონტროლის სისტემის გაუმჯობესებას. სამსახურის მიერ 2016-2017 წლებში ჩატარებული აუდიტის შედეგად ვერ გამოვლინდა იმ კონტროლის მექანიზმების სისუსტეები, რომლებმაც განაპირობა მუნიციპალიტეტის მიერ უხარისხოდ ან/და დაბალი ხარისხის ინფრასტრუქტურული პროექტების ჩაბარება.

⁶⁴ აქედან 5 ა(ა)იპ შემოწმებულია ორჯერ.

რეკომენდაცია №13: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურმა უზრუნველყოს თვითმმართველი ერთეულის საქმიანობის გაუმჯობესება, არსებული რისკების შეფასებითა და მოქმედ კანონმდებლობასა და მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის დადგენის გზით. გააძლიეროს მონიტორინგი მერიის სამსახურებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საქმიანობაზე, აგრეთვე მათზე გაცემული რეკომენდაციების შესრულებაზე. აღნიშნული უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის ზრდას.

წინა აუდიტის დროს გამოვლენილი დარღვევები

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა 2014 წელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ჩაატარა 2012-2013 წლების ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტი. აუდიტის ჯგუფის მიერ ანგარიშში დაფიქსირებულია სხვადასხვა არსებითი ხასიათის დარღვევა-ნაკლოვანებები შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- არაფინანსური აქტივების აღრიცხვა, საბალანსო ღირებულების შეფასება;
- მიღებული და გასული არაფინანსური აქტივების მოძრაობა;
- ორგანიზაციის მიერ განხორციელებული ოპერაციების შესაბამის ანგარიშებზე კლასიფიკაცია და ფინანსურ ანგარიშგებაში უტყუარად წარდგენა;
- კაპიტალური და მიმდინარე ხარჯების გამოიჯენა;
- შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვა;
- საცნობარო მუხლების აღრიცხვა;
- ცვეთის დარიცხვა.

ზემოთ აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, აუდიტის სამსახურმა გასცა უარყოფითი დასკვნა.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში 2015 წლიდან გამოსწორდა ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების პროცესი. აღრიცხვის შესაბამისი უწყისები და ჟურნალები წარმოებულია ელექტრონულად, ცხრილების სახით, შედგენილია მემორიალური ორდერები და შედეგები გადატანილია მთავარ წიგნში. ასევე მუნიციპალიტეტმა წარმოადგინა 2016-2017 წლების ფინანსური ანგარიშგება.

პასუხისმგებელი პირის განმარტებით, 2016 და 2017 წლების ბალანსების შედგენისას, საწყის ნაშთებად გამოყენებულია საფინანსო და ქონების მართვის სამსახურში არსებული მონაცემები, რადგან წინა წლების ნაშთების სისწორე ვერ დადგინდა არასწორი ბუღალტრული გატარებების გამო. ასევე ფინანსურ ანგარიშგებაში ისევ არ ასახულა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროდან

უსასყიდლოდ გადმოცემული ქონება, სრულად არ არის გასწორებული „არაფინანსური აქტივების“ და „ხარჯების“ შესაბამისი მუხლები. აღნიშნული გამოწვეულია იმით, რომ მუნიციპალიტეტში არ ჩატარებულა ინვენტარიზაცია და არ მოხდა საწყისი ნაშთების გამოყვანა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიზანი არ არის მხოლოდ ხარვეზების გამოვლენა და აუდიტის ანგარიშში ასახვა. მნიშვნელოვანია, რომ აუდიტის ობიექტმა დაგეგმოს და განახორციელოს საჭირო ღონისძიებები დარღვევა-ნაკლოვანებების გამოსწორებისათვის, ასევე მომავალში თავიდან აიცილოს მსგავსი ხარვეზების განმეორება.

რეკომენდაცია №14: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშაოს შესაბამისი ღონისძიებები მუნიციპალიტეტის წინა აუდიტის ანგარიშში ასახული დარღვევა-ნაკლოვანებების გამოსწორების მიზნით – გადამოწმდეს წინა წლების ანგარიშგებაში ასახული ოპერაციები, რომლებიც გავლენას ახდენს მიმდინარე ნაშთებზე. ასევე ჩაატაროს სრულყოფილი ინვენტარიზაცია, რაც ხელს შეუწყობს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისათვის ზუსტი და სრული ინფორმაციის წარდგენას.

დაბა ჩოხატაურის კულტურის სახლის მშენებლობა

2015 წელს მუნიციპალიტეტმა შეისყიდა დაბა ჩოხატაურში კულტურის სახლის მშენებლობის სამუშაოები. შესასრულებელი სამუშაოების ღირებულება განისაზღვრა 2,499.0 ათასი ლარით. მთავრობის განკარგულების საფუძველზე, სამუშაოების შესყიდვა განხორციელდა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით⁶⁵.

მიმწოდებლის შერჩევის მიზნით, 2015 წლის ივლისში მუნიციპალიტეტმა ჩაატარა ბაზრის კვლევა, სადაც განსაზღვრა მოთხოვნები, რომლებიც უნდა დაეკმაყოფილებინა პოტენციურ მიმწოდებელს. მათ შორის, მოითხოვა 1.5 მილიონი ლარის ღირებულების ანალოგიური სამუშაოების გამოცდილება, ინფორმაცია ტექნიკური საშუალებებისა და პერსონალის შესახებ. ჩატარებულ კვლევაში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ შპს „ვექტორმა“. მან წარმოადგინა ინფორმაცია ტექნიკური საშუალებებისა და პერსონალის შესახებ, ასევე 37.0 მლნ ლარის გამოცდილება, ცხრილის სახით. შპს „ვექტორის“ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია მუნიციპალიტეტმა დამაკმაყოფილებლად მიიჩნია და მიმწოდებელს გაუფორმა ხელშეკრულება, ღირებულებით 2,499.0 ათასი ლარი⁶⁶.

აღნიშნული შპს დარეგისტრირებულია 2012 წელს და შესყიდვების ერთიან სისტემაში შესაბამისი პერიოდისთვის უფიქსირდება მხოლოდ 42.0 ათას ლარამდე სამუშაოების

⁶⁵ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 9 ივლისის N1462 განკარგულება.

⁶⁶ CMR150140026 ხელშეკრულება N168.

შესრულება. აქედან გამომდინარე, აუდიტის ჯგუფმა მოითხოვა ცხრილის სახით წარმოდგენილი გამოცდილების დადასტურება. ამის შემდგომ, შპს „ვექტორმა“ მუნიციპალიტეტში წარმოადგინა დოკუმენტაცია, რომელშიც აღნიშნულია, რომ მის მიერ წარმოდგენილი გამოცდილება მოიცავდა არა მხოლოდ შპს „ვექტორის“, არამედ შპს „ოქტან-მედიასა“ და შპს „ოქტანის“ მიერ განხორციელებულ სამუშაოებსაც. მათივე ინფორმაციით, სამივე ფირმაში დამფუძნებელი და დირექტორი ერთი და იგივე პიროვნებაა, ერთი და იმავე ტექნიკით და პერსონალით. შპს „ვექტორი“ არის დამოუკიდებელი იურიდიული პირი, შესაბამისად, მუნიციპალიტეტს უნდა დაეთვალა და გაეთვალისწინებინა მხოლოდ მისი გამოცდილება, რაც არ განუხორციელებია. ამასთანავე, ის ფაქტი, რომ სამივე ფირმას ჰყავდა ერთი და იგივე ხელმძღვანელი და პერსონალი, ჰქონდა ანალოგიური ტექნიკა, არ ადასტურებს იმ გარემოებას, რომ მას შეეძლო აღნიშნული სამუშაოების შესრულება.

ამდენად, მუნიციპალიტეტმა კულტურის სახლის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის პროცესი განახორციელა ხარვეზებით – არასწორად ჩაატარა ბაზრის კვლევა, არ გადაამოწმა პოტენციური მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მონაცემები და ხელშეკრულება გაუფორმა ისეთ ფირმას, რომლის გამოცდილების დადასტურება მუნიციპალიტეტის მხრიდან არ განხორციელებულა.

მუნიციპალიტეტმა სამუშაოები ჩაიბარა 2016 წლის 10 ოქტომბერს. შესრულებული სამუშაოების შემოწმების მიზნით შეისყიდა საექსპერტო მომსახურება. ხელშეკრულება გაუფორმა შპს „საქართველოს ექსპერტთა კოლეგიას“, თანხით – 16.7 ათასი ლარი⁶⁷. ექსპერტმა გასცა დასკვნა სამუშაოების მოცულობაზე, ხოლო ხარისხი ვიზუალური დათვალიერებით, მიიჩნია დამაკმაყოფილებლად.

სამუშაოების ჩაბარების შემდგომ, ობიექტზე გამოვლინდა სხვადასხვა სახის ხარვეზი. სახურავის ერთ მონაკვეთზე გაჟონა წყალმა, ეზოს ტერიტორიაზე დაზიანდა ფილები, შესაცვლელი გახდა მეტალო-პლასტმასის კარების საკეტების მექანიზმები და დაზიანდა გარე განათების სადენების იზოლირება. მუნიციპალიტეტმა დაზიანებების გამოსასწორებლად მიმწოდებელს მიმართა 2018 წლის 19 თებერვალს. წარმოდგენილი ინფორმაციით მიმწოდებელმა დაზიანებების ძირითადი ნაწილი აღმოფხვრა. დარჩენილია დაზიანებულ მონაკვეთებზე სამღებრო სამუშაოები, რომლებიც აუდიტის მიმდინარეობის პერიოდისათვის გამოსწორებული არ არის.

⁶⁷ SPA 160002170, №225 ხელშეკრულება.

აღსანიშნავია, რომ ობიექტის საექსპერტო მომსახურება თავად შეისყიდა მუნიციპალიტეტმა, თუმცა ექსპერტიზისადმი განსაზღვრული შეკითხვა იყო ზოგადი და იმპერატიულად არ მოითხოვდა შესრულებული სამუშაოების ხარისხის დადგენას. შედეგად, მუნიციპალიტეტმა ვერ შექმნა კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფდა ობიექტის შესყიდვას დაგეგმილი ხარისხით.

წითელი ჯვრის დაფინანსება

2013 წლის 26 ოქტომბერს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტსა და საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის ფარგლებში შემუშავდა პროგრამა „ინტეგრირებულ საქმიანობათა დღის ცენტრი ჩოხატაურში“. პროგრამის მიზანი იყო სოციალურად დაუცველთა და უმწეოთა რიცხვის შემცირება და ცხოვრების ხარისხის ამაღლება მათი ჯანმრთელობის მდგომარეობს გაუმჯობესებით. პროგრამის დაფინანსების წყაროა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი, საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება და დანიის წითელი ჯვარი. 2016-2017 წლებში პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 220.4 ათასი ლარით⁶⁸, საიდანაც ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ დაფინანსებულია 96.5 ათასი ლარი⁶⁹. წარმოდგენილი ინფორმაციით, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ 2016-2017 წლებში აღნიშნულ პროგრამაზე გაწეული ხარჯიდან, 87.5 ათასი ლარით (90%) ანაზღაურებულია წითელი ჯვრის 7 თანამშრომლის ხელფასი⁷⁰, დანარჩენი 9.0 ათასი ლარით დაფინანსებულია სხვა პროგრამული ხარჯები.

მუნიციპალიტეტში წარმოდგენილი ორგანიზაციის საქმიანობის ანგარიშის მიხედვით, პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სხვადასხვა აქტივობა. კერძოდ, საქველმოქმედო აქციები, სამედიცინო კვლევა და ექიმის კონსულტაცია, ტრენინგები ხანდაზმულთა ჩართულობით, ბინაზე მოვლა, შემოქმედებითი სადამოეხები და სხვა, თუმცა ორგანიზაციის მიერ შესრულებული საქმიანობის კონტროლს მუნიციპალიტეტი ვერ ახორციელებს. კერძოდ, არ ფლობს ინფორმაციას რა ოდენობის თანხა მოიზიდა და გაიხარჯა პროგრამის მთლიანი ბიუჯეტიდან, კონკრეტულად რა აქტივობები განხორციელა მიღებული დაფინანსებით (გარდა მუნიციპალიტეტის მიერ გაწეული დაფინანსებისა).

მიზანშეწონილია, მუნიციპალიტეტი განხორციელებული პროგრამის ფარგლებში სრულყოფილად ფლობდეს ინფორმაციას მონაწილე მხარეების მიერ გაწეული დაფინანსებისა და აქტივობებზე გაწეული ხარჯების შესახებ. აღნიშნული

⁶⁸ 2016 წელს - 126.5 ათასი ლარი; 2017 წელს - 93.9 ათასი ლარი.

⁶⁹ 2016 წელს - 43.4 ათასი ლარი; 2017 წელს - 53.1 ათასი ლარი.

⁷⁰ 2016 წელს-41.0 ათასი ლარი, 2017 წელს-46.5 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტს საშუალებას მისცემს განახორციელოს ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსებით გაწეული ხარჯების კონტროლი და ამასთანავე, შეაფასოს პროგრამის განხორციელებით მიღებული სარგებელი.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.


აუდიტორთა ხელმოწერა:

სახელი, გვარი

ხელმოწერა

გიორგი ჩახვაძე

(წამყვანი აუდიტორი)



ქრისტინე ეკალაძე

(უფროსი აუდიტორი)



სოფიო ბელთაძე

(აუდიტორი)



